# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბრბოთის გაცვანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


შაბათი, 19 აგვისტო. 2017 წ. №167 (8304), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


# ტერორიზმი შავი ქირივით მოედო პლანეტას!

## გიორგი მარგველაშვილი: ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას თანამედროვეობის ამ უდიდესი საფრთხის წინააღმდეგ

**საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ესპანელ ხალხს ბარსელონაში მომხდარი ტერორისტული აქტის გამო სამძიმარს უცხადეს.**

როგორც პრეზიდენტი აღნიშნავს, საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად აგრძელებს ბრძოლას თანამედროვეობის ამ უდიდესი საფრთხის წინააღმდეგ.

**„შეძრწუნებული ვარ ესპანეთში, ბარსელონაში მომხდარი ტერორისტული აქტის გამო, რომელსაც უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე ემსხვერპლა. ჩვენ, საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად, ვაგრძელებთ ბრძოლას თანამედროვეობის ამ უდიდესი საფრთხის წინააღმდეგ.**

**ამ განსაცდელის ჟამს ქართველი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით, ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებს, მტკიცე თანადგომას ვუცხადებ ესპანეთის ხელისუფლებას და ხალხს“,** — აღნიშნულია პრეზიდენტის განცხადებაში. ცნობისთვის, ბარსელონაში, რამბლას მოედანზე ფეხით მოსიარულეთა გზის სავალ ნაწილზე ხუთშაბათს ავტომობილი შევარდა. მომხდარის შედეგად, ამ დროის მონაცემებით, 13 ადამიანი დაიღუპა, 100-მდე კი დაშავდა.

**ქვეყნის პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ესპანეთში 3-დღიანი გლოვა გამოცხადდა.**






## ევროპიდან უნებართვოდ მცხოვრები საქართველოს 86 მოქალაქე დააბრუნეს

**საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე უნებართვოდ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი განახორციელა.**

როგორც „კომერსანტს“ სახალხო დამცველის აპარატიდან აცნობეს, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელი თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან გაემგზავრა გერმანიის ქალაქ დიუსელდორფისა და საბერძნეთის დედაქალაქ ათენის აეროპორტებში, სადაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოს 86 მოქალაქის დაბრუნების პროცესს დაესწრო.

დასაბრუნებელი პირები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ესკორტს გერმანიისა და საბერძნეთის სასაზღვრო პოლიციამ თვითმფრინავის ბორტზე (დიუსელდორფსა და ათენში) გადასცა. პროცესს კოორდინირებას უწევდა ევროპის კავშირის სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის ოპერატიული თანამშრომლობის ევროპული სააგენტო „ფრონტექსი“ (FRONTEX).

**„დაბრუნების ოპერაციის განმავლობაში რაიმე სახის ინციდენტს ადგილი არ ჰქონია, ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენება არ მომხდარა. დადებითად უნდა აღინიშნოს მიგრანტებისათვის თვითმფრინავის ბორტზე საინფორმაციო ბუკლეტების დარიგება, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ. აღსანიშნავია, რომ კვლავ პრობლემად რჩება დასაბრუნებელი პირების ოჯახთან სატელეფონო კონტაქტის უზრუნველყოფა. წინა მონიტორინგების მსგავსად, აღნიშნული პირების ტელეფონით სარგებლობის უზრუნველყოფა განხორციელდა მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატის პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ „ფრონტექსის“ წარმომადგენლებისათვის პრობლემის შეტყობინების შემდგომ“,** — ნათქვამია სახალხო დამცველის აპარატის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

**ცნობისთვის: ევროკავშირის ტერიტორიაზე უნებართვოდ მცხოვრები საქართველოს 86 მოქალაქე ქვეყანაში 16 აგვისტოს დააბრუნეს.**

## „უბარიერო არჩევნები“ და „ექსკლუზიური ოპოზიცია“

③

## იოსებ არჩვაძე: გეგმა ფინანსური დასაბუთების გარეშე მკვდრადშობილი დოკუმენტია!

④



## ჯანსუღ ჩარკვიანი:

⑤

## ვისაც ვუყვარვარ მიყვარს, და ვისაც ვძულვარ, არ მძულს!..

# გონიერთა მოსწრებული სიტყვა

**უინსტონ ჩერჩილი**, რომელიც არა მარტო დიპლომატი, არამედ მხატვარიც იყო, ერთხელ თავის ნახატებს ნაცნობებს ათვალიერებდა. ერთ-ერთმა მათგანმა ჰკითხა:

— მარტო პეიზაჟებს რატომ ხატავთო.

— რატომ და, — მიუგო ჩერჩილმა, — ხეები არასოდეს არ უსაყვედურებენ მხატვრებს, თქვენი დახატული ხეები ჩვენ სულაც არა გვგვანანო.

* * *

ერთხელ იტალიელმა რეჟისორმა **ვილორიო დე სიკამ** მეგობარს უთხრა, ქალები არაფრისგან სამ რამეს ქმნიან: სალათას, შლაპას და ტრაგედიასო.

* * *

ცნობილმა კინომსახიობმა **გრეტა გარბომ** თავის თაყვანისმცემელთა წერილებში ერთი ასეთი წერილიც იპოვა:

„ჩემი ქმარი ჩემს სუნამოებს ვერ იტანს, რა ვქნა, გამოვიცვალო სუნამოებიო“.

„სუნამოები არა, ქმარი გამოიცვალეო“.

* * *

ერთმა პატივმოყვარე ინგლისელმა **ლინკოლნს** ქედმაღლურად უთხრა:

— არც ერთი ინგლისელი ჯენტლმენი თავის ჩექმებს არ იწმენდსო.

— რას მეუბნები? — გაიკვირვა ლინკოლნმა. — აბა, ვისას?

* * *

ერთხელ **მარკ ტვენს** ჰკითხეს, რა განსხვავებაა შეცდომასა და დაბნეულობას შორისო.

მან მიუგო:

— თუ საკიდრიდან შენი ქაღალდის ქოლგის მაგივრად სხვისი აბრეშუმის ქოლგა ჩამოიღე, რასაკვირველია, შეცდომაა. მაგრამ თუ საკუთარი აბრეშუმის ქოლგა სხვის ქაღალდისაში აგერიათ, ცხადია, დაბნეულობააო.

* * *

რეპორტიორმა **ბრიჯიტ ბარდოს** ჰკითხა, — რას ფიქრობთ თანამედროვე პლასტიკურ ქირურგიაზეო.

— ქირურგს ჩვენს დროში, — უპასუხა ბრიჯიტმა, — ყველაფერი შეუძლია, გარდა ერთი რამისა: ცხვირს სხვის საქმეში ჩაყოფას ვერ მოაშლევინებსო.



# ლევან ვასაძე დინების საწინააღმდეგოდ



„საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების" თავმჯდომარე ლევან ვასაძემ რუსულ ტელეკომპანია Царьград-ს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე ინტერვიუ მისცა. ჟურნალისტის შეკითხვაზე, რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადაიდგას იმისთვის, რომ რუსეთ-საქართველოს (Русско-Картвелский-ჟურნალისტი) ურთიერთობა დარეგულირდეს და სტაგნაციის ფაზიდან გამოვიდეს, ვასაძე პასუხობს:

**„ყველაფერი ძალიან მარტივად და ყველაფერი ძალიან რთულადაა. რუსეთი უნდა დაეხმაროს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში და სანაცვლოდ და საპასუხოდ საქართველომ უნდა შეწყვიტოს ნატოსკენ სწრაფვა",** — განაცხადა ვასაძემ.

მისივე თქმით, რუსეთსა და საქართველოს შორის არსებობს ურთიერთსიყვარული, რომელიც დაფუძნებულია ერთიან, ქრისტიანულ და მორალურ ფასეულობებზე, კულტურების დიდი სიახლოვეზე. ვასაძის თქმით, ეს ყველაფერი ცხოვრებაში უნდა განხორციელდეს იმ ფასეულობების დაცვით, რომლის დეკლარირებაც ხდება. მისივე თქმით, სააკაშვილის „საშინელი მმართველობა" შედეგია იმ 12-13 წლის, რაც მის ხელისუფლებაში მოსვლამდე ხდებოდა — საუბარია ქართველების ეთნიკურ მასობრივ გამოყრაზე, **„სწორედ ამის შედეგი გახდა სააკაშვილის პოლიტიკა",** — აცხადებს ვასაძე.

მისი თქმით, როდესაც მას ეკითხებიან, თუ რა უნდა გაკეთდეს „პოსტმორტუმ", ის პასუხობს, რომ უკვე კარგია, რომ ბოლო 3 წელი სააკაშვილის რეჟიმის ცვლილების შემდეგ, საომარი რიტორიკის ტემპერატურა მკვეთრად დაეცა და ეს უკვე საქმეა. ვასაძე ამბობს, რომ ყველაფერი ძალიან მარტივად არის:

**„რუსები არასოდეს ყოფილან ფაშისტები და რაც არ უნდა მოხდეს, იმედი მაქვს, რომ ქართველები მათ ასეთად არასოდეს აღიქვამენ. ეს იმას ნიშნავს, რომ რუსული კულტურა, რუსული კოდი, რუსული სახელმწიფოებრიობა პრინციპში, მხარს ვერ დაუჭერს გენოციდს. თუ ეს ასეა, მაშინ მოდით, ადამიანები საკუთარ სახლში დავაბრუნოთ. მოდი, თქვენ დარჩით თქვენს აზრზე, არ გამოიწვიოთ ჩვენი რეგიონების აღიარება დამოუკიდებელ ქვეყნებად, ჩვენ მათ ბუნებრივია, არასოდეს ვაღიარებთ, მაგრამ მოდით ქართველებს, რომლებიც გამოყარეს, გაუპატიურეს, დაამცირეს, ეს ნახევარი მილიონი ადამიანია და როდესაც მილიონიდან 1 რუსი ჩამოვა თბილისში და ჩვენ ყველას ჩამოსვლა გვიხარია, დაე, მან გაიხსენოს, რომ როდესაც ქუჩებში დადის, ყოველი მეორე იქიდან გამოგდებულია",** — განაცხადა ლევან ვასაძემ Царьград-თან ინტერვიუში.

## სააკაშვილი ქართული სასამართლოს წინაშე წარდგომას არ აპირებს

საქართველოს ექსპრეზიდენტი და ოდესის ყოფილი გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი თბილისში დაბრუნებას და სასამართლოს წინაშე წარდგომას არ აპირებს. ამის შესახებ მან BBC-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.



**„მე აქტიური და გამორჩეული უკრაინელი პოლიტიკოსი ვარ და სერიოზულ პოლიტიკურ პარტიას ვხელმძღვანელობ. უკრაინაში ბევრი მხარდამჭერი მყავს. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ ქვეყანაში რეფორმების გასატარებლად. სწორედ ამიტომ არ ვაპირებ თბილისში ჩასვლას. ინტერპოლმა ჩემს დაკავებაზე ორდერი არ გასცა. მათთვის ცხადია, რომ ბრალდებები, რომელსაც მიყენებენ, პოლიტიკურად არის მოტივირებული,"** — აღნიშნა სააკაშვილმა.

## სააკაშვილთან დაკავშირებით, პროკურატურას კომუნიკაცია აქვს სხვადასხვა ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოებთან

**საქართველოს მთავარი პროკურატურა, უკრაინული მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც უკრაინის პროკურატურას ექსტრადირების ახალი მოთხოვნა გაუგზავნეს უარყოფს.** როგორც, საქართველოს პროკურატურიდან ,,პირველ რადიოს" განუცხადეს, მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით, უკრაინის პროკურატურაში უკვე გადაგზავნილია ორი მოთხოვნა. გარდა ამისა, მათივე განცხადებით, პროკურატურას შესაბამისი სამართლებრივი კომუნიკაცია აქვს სხვადასხვა ქვეყნების შესაბამის ორგანოებთან.

**„მიხეილ სააკაშვილის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მთავარ პროკურატურას კომუნიკაცია აქვს სხვადასხვა ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოებთან და მიმდინარეობს ყველა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურა. საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ უკრაინულ მხარესთან გაგზავნილია სამართლებრივი მიმართვები სააკაშვილის ექსტრადირებასთან დაკავშირებით. საქართველოს მთავარი პროკურატურა აქტიურად თანამშრომლობს უკრაინის გენერალურ პროკურატურასთან",** — განუცხადეს ,,პირველ რადიოს".

## საქართველოს პროკურატურამ სააკაშვილის ექსტრადირების ახალი მოთხოვნა გაგზავნა

უკრაინული მედიის ცნობით, საქართველოს პროკურატურამ უკრაინის პროკურატურას მიხელ სააკაშვილის ექსტრადირების შესახებ მორიგი მოთხოვნა გაუგზავნა.

**„მიხეილ სააკაშვილის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ უკრაინულ მხარეს მისი საქართველოში ექსტრადირების სესახებ მიმართვა გაუგზავნა, ორი ქვეყნის პროკურორი ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობს",** — ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

## სემეკმა ტარიფების გადახედვის საკითხზე გადაწყვეტილება მიიღო

**სემეკ-მა „თელასის" ტარიფის გადახედვის საკითხზე ადმინისტრაციული წარმოების გადაწყვეტილება ხმაურის და სიტყვიერი დაპირისპირების მიუხედავად მაინც მიიღო.**

კომისიის თავმჯდომარემ ირინა მილორავამ „თელასის" საკითხზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საკითხი კენჭისყრაზე დააყენა, რასაც კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს.

## ვფიქრობ, შეთანხმება შედგება...

**მე ვფიქრობ, ჩვენს შორის შედგება თანხმობა უმთავრესზე — ახალი კონსტიტუცია ქვეყნის გრძელვადიან, დემოკრატიულ განვითარებას, ადამიანის უფლებების დაცვას და საზოგადოების ყველა წევრისთვის მშვიდობიან თანაცხოვრებას უნდა უზრუნველყოფდეს,** — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ საკონსტიტუციო რეფორმის საკითხებთან დაკავშირებით საპარლამენტო უმრავლესობისა და კვალიფიციური ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს შორის შეხვედრაზე განაცხადა.

# სახელმწიფოებრიობანას თამაში

## რისთვის გამოჰყავს ოსურ ,,მთავრობას'' რიგი დასახლებული პუნქტები ე.წ სასაზღვრო ზონიდან

**ოკუპირებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო უსაფრთხოების კომიტეტმა გაავრცელა განცხადება, რომელიც „მთავრობის" 2017 წლის 9 აგვისტოს დადგენილებას შეეხება „რესპუბლიკა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ სასაზღვრო ზონის მოწყობისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის კეთილმოწყობის ღონისძიებების შესახებ".**

„სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, სასაზღვრო ზონაში სასაზღვრო რეჟიმის წესებში" შემდეგი დამატებებია შეტანილი:

**„— სამხრეთ ოსეთის სასაზღვრო ორგანოებმა რესპუბლიკის მოქალაქეებსა და უცხოელებს შესაძლოა, უარი უთხრან სასაზღვრო ზონაში შესვლაზე ამ რაიონში სასაზღვრო ძებნის, სისხლის სამართლის და ადმინისტრაციული საქმეების ფარგლებში ღონისძიებების ჩატარების, ასევე კონტრტერორისტული ოპერაციის ან საგანგებო სიტუაციის რეჟიმის მოქმედების დროის განმავლობაში;**

**— იმ დასახლებული პუნქტების მცხოვრებლებს, რომელთა ნაწილი სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ 100-მეტრიან ზოლზე მდებარეობს, შეუძლიათ აღნიშნულ ზოლში ყოფნა სასაზღვრო ორგანოების ნებართვის გარეშეც.**

**ე.წ. სასაზღვრო ზონაში უცხოელთა ყოფნის წესები არ შეცვლილა. ეს კატეგორია ე.წ. სასაზღვრო ზონაში შესვლას, მასში ყოფნასა და გადაადგილებას კვლავინდებურად განახორციელებს ინდივიდუალური ან კოლექტიური საშვების საფუძველზე, წინასწარ მოლაპარაკებული დასახლებული პუნქტებისა და ვადების ფარგლებში, პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტების აუცილებელი ქონის შემთხვევაში".**

**„რაიონული ადმინისტრაციები მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბერში სამრეთ ოსეთის რესპუბლიკის უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო სამსახურთან შეთანხმებით გეგმავენ, განახორციელონ სამუშაოები სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სასაზღვრო ზონის შესასვლელებში საინფორმაციო ნიშნების მონტაჟისთვის",** — იუწყება საინფორმაციო სააგენტო „რესი".



ანალიტიკოსის სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ამირან სალუქვაძის შეფასებით, ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლება ე.წ. სასაზღვრო წესებს კანონმდებლობის დონეზე იგივე მოდელით „აწესრიგებს", როგორითაც რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე მოქმედებს.

მისივე აზრით, ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაშვების ნებართვას რუსული სპეცსამსახურები გააკონტროლებენ, შესაბამისად, მათ ხელთ ექნება ინფორმაცია, ვინ გადაკვეთა საოკუპაციო ხაზი, რამდენ ხანს დარჩება ტერიტორიაზე, რა მიზნით და ა.შ., „უცხო ქვეყნის მოქალაქეში" კი, ცხადია, მოიაზრება საქართველოს მოქალაქე: **„მიმოსვლა გაგრძელდება, მაგრამ ცხინვალის რეგიონში დაახლოებით იგივე წესები იმოქმედებს, როგორიც რუსეთის ტერიტორიაზე, სასაზღვრო ზოლშია მიღებული — კონტროლი მკაცრდება სპეცსამსახურების მიერ".**

ანალიტიკოსი **ლევან გერაძე** კი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ქმედებები საერთაშორისო ორგანიზაციების წინააღმდეგ უფროა მიმართული. კერძოდ, მისი თქმით, მართალია, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას ოკუპირებულ ტერიტორიაზე ამ დრომდე არ უშვებდნენ, მაგრამ ახლა ამ გადაწყვეტილების „კანონით" გამყარების მცდელობასთან გვაქვს საქმე. შექმნილ ვითარებაში ანალიტიკოსი სხვა საფრთხეებს ხედავს. კერძოდ, მისი აზრით, მთავარ პრობლემას „სახელმწიფოებრიობანას" თამაში ქმნის: **„მთელი ეს პოლიტიკური პროცესი, თუნდაც ე.წ. არჩევნების ჩატარება და ა.შ. ძალაუფლების ფლობის, სახელმწიფოებრიობის ილუზიის შექმნის მცდელობაა, ილუზიისა, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთი „დამოუკიდებელი" სახელმწიფოა. რუსები მათ აძლევენ შესაძლებლობას, სახელმწიფოებრიობანა ითამაშონ და ქართველებისგან გაწმენდილი ტერიტორია ვითომ თავის ჭკუაზე მართონ. რეალურად კი, ბუნებრივია, რუსეთი მართავს ყველანაირ პროცესს. ვთქვათ, თიბილოვმა, ბიბილოვმა და სხვებმა ძალიან კარგად იციან, რა როგორ ხდება, მაგრამ იქ თაობები იზრდებიან და როდესაც მათ ამ „დამოუკიდებლობის" შესახებ უყალიბდებათ ილუზია, სწორედ ეს არის უბედურება. შემდეგ ამ განწყობის ნგრევა ძალიან რთული პროცესია. სამომავლოდ რთულია ამ ახალ თაობასთან კონტაქტის დამყარება და გარკვეულ თემებზე საუბარი, თორემ ძველ თაობას შეიძლება, უფრო ადვილად დაელაპარაკო".**

ანალიტიკოსი გამოსავალს საინფორმაციო ხაზების გააქტიურებაში ხედავს: **„ამ პროცესს ხელი უნდა შეუშალო საინფორმაციო საქმიანობით — დაწყებული სოციალური ქსელებით, მედიის მუშაობით, განცხადებებით და ა.შ. ეს არ არის ადვილი საქმე. ჩვენ ამ ტერიტორიებზე წვდომა არ გვაქვს, მთლიანად რუსეთის, მისი შეიარაღებული ძალების კონტროლს ქვეშაა. ძალიან ადვილია, პროპაგანდას წამოეგოს ადამიანი, რომელსაც ალტერნატიული ინფორმაცია არა აქვს. კი არ უნდა მოვატყუოთ, მათი საინფორმაციო წყაროები უნდა გავხსნათ, საინფორმაციო რესურსები, შესაძლებლობები გავამდიდროთ და რეალურად დავანახოთ, რა ხდება. მათ უნდა ესმოდეთ, რომ ეს ყველაფერი დროებითია და აუცილებლად შეიცვლება".**

**„აქცენტი"**

# „უბარიერო არჩევნები“ და „ექსკლუზიური ოპოზიცია“

**„მმართველი პარტიის“ ლიდერებმა, ჯერჯერობით არაოფიციალურად, თუმცა მაინც მკაფიოდ შესთავაზეს ოპოზიციას „კომპრომისული გადაწყვეტილება“ ახალ კონსტიტუციასთან და საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით: „უპროცენტო არჩევნები“, ანუ, როგორც ზოგჯერ უწოდებენ, „უბარიერო კენჭისყრა“.**

**ეს იმას ნიშნავს, რომ 2020 წელს, როდესაც საპარლამენტო არჩევნები კვლავ შერეული, — მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემით ჩატარდება, 75 ან 77 „პროპორციული“ მანდატის განაწილებისას არანაირი საარჩევნო ბარიერი, იგივე „საარჩევნო კვოტა“ არ იარსებებს: პარტიების მიღებულ ხმათა რაოდენობა უბრალოდ გაიყოფა მონაწილე სუბიექტებზე და თუ პარტიას, ამგვარი გაყოფის შემდეგ, თუნდაც ერთი დეპუტატის „ადგილი“ ერგება, ის „გაიყვანს“ ამ დეპუტატს, ესე იგი მინიმუმ პარტიული სიის პირველი ნომერი მაინც გახდება პარლამენტის წევრი.**

**იქვეა დათქმა, რომ ამგვარი წესი იმოქმედებს მხოლოდ 2020 წელს და 2024 წლისთვის, როცა ქვეყანა (თითქოს) უნდა გადავიდეს მთლიანად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე, კვლავ აღდგება 5 ან 3-პროცენტიანი ბარიერი მონაწილე პარტიებისთვის.**

თავისთავად, ეს წინადადება „ოცნების“ წიაღში მიმდინარე შიდა ბრძოლების გამოვლინებაა, — ბარიერის 3%-მდე დაწევას ისევ ეს ინიციატივა ამჯობინეს, ანუ საარჩევნო კვოტის სრული გაუქმება.

მაგრამ ამ ეშმაკური წინადადების მეორე მიზანი ბევრად მნიშვნელოვანია: როგორც მოსალოდნელი იყო, „ოპოზიციურ ფლანგზე“, სადაც უამრავი სხვადასხვა ამბიციის თუ შესაძლებლობების პარტია, „პარტიის მაგვარი“ ორგანიზაცია და „პარტიად“ წოდებული „სამეგობრო“ თუ „ორკაციანი გაურკვეველი ჯგუფია“ თავმოყრილი, მმართველი გუნდის მახვილგონივრული სატყუარა დიდ აურზაურს, ცდუნებას და ამ ცდუნებით გამოწვეულ დაპირისპირებას გამოიწვევდა.

„ოცნებისთვის“, ამ შემთხვევაში, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, დაუჭერს თუ არა მხარს მის წინადადებას საპარლამენტო ოპოზიცია. ესე იგი „ნაციონალური მოძრაობა“ მისი განაყოფი „ევროპული საქართველო“ და „ქართული ალიანსი“. მთავარია, შესაბამისი პოლიტიკური ფონის შექმნა, ინტერესთა კონფლიქტის პროვოცირება და ევროპელ შუამავლებთან მომავალი მოლაპარაკებებისას იმ „სათქმელის“ დატოვება, რომ ხელისუფლება კომპრომისზე წავიდა, ხოლო ოპოზიციამ (ხელისუფლებისთვის იდეალურ შემთხვევაში) ეს კომპრომისი უარყო.

ევროპელი „მომრიგებლის“ თვალში (მაგალითად, იმავე „ვენეციის კომისიის“ თავმჯდომარე ჟანი ბუკიკიოსათვის) „ოცნების“ წინადადება მართლა „კომპრომისად“ გამოიყურება იმ უბრალო მიზეზით, რომ ნამდვილად არის კომპრომისი! ბუკიკიოს მთავარი პრეტენზია ხელისუფლების მიმართ სწორედ ის იყო, რომ მმართველ პარტიას ხელისუფლების უზურპაცია სურდა, „ერთპარტიული პარლამენტის“ საფუძვლებს აშენებდა, ხოლო ოპოზიციის უდიდეს ნაწილს „გარეთ“ ტოვებდა. შესაბამისად, თუკი ახალი სისტემა ქმნის საშუალებას, 2020 წლის პარლამენტი არათუ მრავალპარტიული, არამედ „ულტრა-მულტი“ მრავალპარტიული გახდეს, ჟანი ბუკიკიო და მისი კოლეგები „მხრებს აიჩეჩენ“. ისინი ხომ ევროპული მენტალობის მატარებელი არიან. ტრადიციული დემოკრატიის სახელმწიფოებში კი აბსოლუტურად წარმოუდგენელია ის, რაც სრულიად რეალური პატარა და სუსტი დემოკრატიული გამოცდილების საქართველოში: რომ „პარტიად“ წოდებულმა პატარა სამეგობრო-სანათესავო-საახლობლომ მხოლოდ ამ „ახლობელთა“ ხმებით მოახერხოს პარლამენტში მანდატის მოპოვება! და ვერც იმას აუხსნი, რომ საქართველოში რეგისტრირებული 236 პოლიტიკური პარტიიდან, აბსოლუტური უმრავლესობა არის არა პარტია (რეალურად), არამედ მცირე პოლიტიკური „შპს“ — ერთგვარი „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია“, რომლის მიზანია არა საკუთარი ღირებულებების თუ „პოლიტიკური პროექტის“ გავრცელება, არამედ გავლენისა და ფინანსების „ნამცხვრიდან“ საკუთარი ლუკმის მოწიწკვნა.


ქართულ პოლიტიკურ კლასს თუკი რამ ახასიათებს ტოტალურად, „სტრატეგიული კომპრომისის“ უნართა და შესაბამის კულტურათა დეფიციტია: ის, რასაც „ოცნება“ სთავაზობს ოპოზიციას, ცუდია, მაგრამ უკეთესია (!) იმაზე, რაც ახლა არის.

* * *

**შესაბამისად, „ვენეციის“ კომისიის რეაქცია ორგვარი შეიძლება იყოს: „ოცნების“ წინადადებას მოიწონებენ, თუმცა შეიძლება „უპროცენტო“ ბარიერის ნაცვლად ხელისუფლებას მაინც 3%-იანი ბარიერის დაწესება შესთავაზონ.**

„ოცნებისთვის“ ამას უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება, რადგან ჯერ ერთი, აბსოლუტურად გამოირიცხება ბუკიკიოს და მისი კოლეგების მხრიდან „არადემოკრატიულობაში“ და „ხელისუფლების უზურპაციის მცდელობაში“ დადანაშაულება; მეორეც, ამ წინადადებასთან დაკავშირებით პარტიები ისე წაეკიდებიან ერთმანეთს, თავდაპირველი ინიციატივა შესაძლოა, ყველას დაავიწყდეს, ანუ ქართული ჩვევით „ოპოზიციამ ერთმანეთი დაჭამოს“ და ყველაფერი დარჩეს ისე, როგორც არის, ანუ მომავალი პროპორციულ-მაჟორიტარული არჩევნები ისევ 5%-იანი ბარიერით ჩატარდეს.

მაშასადამე, „ოცნება“ წაუგებელ თამაშს თამაშობს. ოღონდ, აქვე უნდა ითქვას, რომ ეს მხოლოდ „ყოველი შემთხვევისთვის თავის დაზღვევაა“ და არა რაღაც კატასტროფის თავიდან აცილების მცდელობა თუ „ჩიხიდან გამოსავლის ძიება“, როგორც ოპოზიცია ამტკიცებს, რაკი ასე უნდათ იყოს და თავად სჯერათ, თითქოს ასეა — რომ ხელისუფლება რაღაც „ჩიხში“ მოამწყვდიეს და ამჟამად შეუძლიათ ულტიმატუმების ენით ელაპარაკონ.

რეალურად არანაირ „კატასტროფულ ჩიხში“ მმართველი პარტია არ იმყოფება: ყველაზე უარეს შემთხვევაშიც კი, თუ არავითარი შეთანხმება არ მოხდება, ოპოზიციას ჯერჯერობით არ გააჩნია მთავარი არგუმენტი: ძალა და რესურსი, ქუჩაში გამოიყვანოს ხალხი და მოაწყოს ახალი რევოლუცია!

რაც შეეხება „ევროპულ არგუმენტს“, ჟანი ბუკიკიო, მაღალი ალბათობით, კვლავ „ფაკულტატური“ კრიტიკით შემოიფარგლება: ევროპა ახლა ნამდვილად არ არის მზად საქართველოს წინააღმდეგ რაიმე სანქციები შემოიღოს იმის გამო, რომ ოპოზიცია-ხელისუფლება საარჩევნო სისტემის საკითხზე ვერ შეთანხმდა. მით უმეტეს, რომ იმავე ევროსაბჭოს მონიტორინგის მისიას, უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებზე რაღაც გამანადგურებელი კრიტიკა არ „დაუდია“, ანუ, ბოლოს და ბოლოს, ევროპელები „მხრებს აიჩეჩენ“ და ოპოზიციას მოუწოდებენ, თავადაც წავიდეს რაღაც კომპრომისზე — კეთილი ინებოს, გადალახოს 5%-იანი ბარიერი, მოიგოს მაჟორიტარული არჩევნები, ან წარმოადგინოს დამაჯერებელი მტკიცებულებანი, რომ არჩევნებში მისი დამარცხების მიზეზი გაყალბებაა და არა ის გარემოება, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას ეშინია ცვლილებების, ეშინია ახალი კატაკლიზმების, ეშინია დაძაბულობის, ეშინია გაურკვევლობის, ეშინია მიშას დაბრუნების, ეშინია „პარტიებად“ წოდებული „შპს“-ების სიმრავლის და დიდი უმრავლესობით ისევ „შეჩვეულ ჭირს“, ანუ მმართველ პარტიას აძლევს ხმას „მართლა“, ანუ გაყალბების გარეშეც.

* * *

**ოპოზიციურ პარტიათა ურთიერთდაპირისპირება უკვე დაიწყო. როგორც განცხადებებიდან აშკარად ჩანს, ამჟამად სამი კატეგორიის ოპოზიციური პარტია იწყებს ბრძოლას სტილში „ყველა ყველას წინააღმდეგ“. პირველი: ორიოდე პარტია, რომელსაც 5% ბარიერის გადალახვის შანსი გარანტირებული აქვს. მეორე, ვისაც აქვს (ან ჰგონია აქვს) გარანტია, რომ 3% ბარიერს გადალახავენ და მესამე: წვრილ-წვრილი „შპს-პარტიები“, რომლებსაც თავისი უბადრუკი არსისა და უშინაარსობის მიუხედავად, რაღაც „ჯადოსნური მანქანებით“ გააჩნიათ უნარი და საშუალება, შექმნან პოლიტიკური ამინდი ამ ქვეყანაში.**

რასაკვირველია, „ნაციონალურ მოძრაობას“ და „ევროპულ საქართველოს“ შეუძლიათ ჩაშალონ ეს კომპრომისი იმით, რომ არ მისცენ ხმა შესაბამის ცვლილებას კონსტიტუციაში და სრულიად ლოგიკური იქნება, თუ ამ საბაბით (!) ოცნებაც დატოვებს ყველაფერს მესამე მოსმენისათვის ისე, როგორც არის — ყველა რისკი მას უკვე გამორიცხული ექნება, რადგან ოპოზიციამ „თავად თქვა უარი კომპრომისზე“ და ა.შ.

მაგრამ აქ ყველაზე ზუსტად გამომჟღავნდება, რამდენად აინტერესებთ ე.წ. „კვალიფიციურ“ პარტიებს რეალური დემოკრატიის განვითარება საქართველოში და რამდენად — მხოლოდ საკუთარი პარტიული ინტერესები.

* * *

**ქართულ პოლიტიკურ კლასს თუკი რამ ახასიათებს ტოტალურად, „სტრატეგიული კომპრომისის“ უნართა და შესაბამის კულტურათა დეფიციტია: ის, რასაც „ოცნება“ სთავაზობს ოპოზიციას, ცუდია, მაგრამ უკეთესია (!) იმაზე, რაც ახლა არის.**

„მულტიმრავალპარტიული საკანონმდებლო ორგანო“ ნამდვილად არაა საუკეთესო პარლამენტი და ზუსტად ამიტომაცაა ევროპაში დაწესებული „საარჩევნო ბარიერი“ — ეს ქართული „პოლიტგენიის“ გამოგონება როდია. მაგრამ ასეთი პარლამენტი მაინც „ნაკლები ბოროტებაა“ მუდმივ საკონსტიტუციო უმრავლესობაზე.

ბოლოს და ბოლოს, გვაქვს საკუთარი ისტორიული გამოცდილებაც და იქნებ ქართველმა პოლიტიკოსებმა ამ გამოცდილებაზე ვისწავლოთ: საშინელება იყო 1992 წლის 11 ოქტომბერს არჩეული პარლამენტი, როდესაც ამომრჩეველს ერთდროულად სამი სხვადასხვა პარტიისთვის (!) შეეძლო ხმის მიცემა. შედეგად, მივიღეთ საკანონმდებლო ორგანო, რომელშიც 26 სხვადასხვა პარტია აღმოჩნდა წარმოდგენილი. მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ „კომიკურად“ წოდებულმა პარლამენტმა, საზარელი სამოქალაქო ომის შეწყვეტაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა; ბოლოს კი, ხანგრძლივი გნიასის, დიდი ჩხუბის, თავპირისმტვრევისა და აყალმაყალის ფონზე, მაინც მიიღო საქართველოს კონსტიტუცია. და ის კონსტიტუცია არანაირი „ავტორიტარული პროექტი“ არ ყოფილა — ჭეშმარიტად დემოკრატიული იყო შინაარსითაც და, რაც მთავარია, მისი შემუშავება-მიღების წესითაც.

ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ არგუმენტი, რომ თურმე ქვეყნისთვის უკეთესი იქნება „ორპარტიული პარლამენტი“ და მხოლოდ ისინი უნდა იყონ ოპოზიცია 2020 წლიდან — ნამდვილად არადამაჯერებელია: ეს პარტია უდავოდ უნდა დარჩეს ქართულ პოლიტიკურ ლანდშაფტზე. თუმცა მას ნამდვილად არა აქვს არც პოლიტიკური, არც მორალური და არც პრაქტიკული უფლება (მისი მმართველობის საბოლოო შედეგთა გათვალისწინებით) ჰქონდეს პრეტენზია „ოპოზიციურ ექსკლუზივსა“ და „ერთადერთ ალტერნატიულობაზე“.

**ნიკა იმნაიშვილი**

## ბათუმში 58 ეკომიგრანტ ოჯახს ბინები საკუთრებაში გადაეცა

**აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ თამარის დასახლებაში მდებარე „სოციალურ სახლში“ 58 ეკომიგრანტ ოჯახს საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადასცა. ბინების მიღება მოსახლეობას ზურაბ პატარაძემ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრ რამაზ ბოლქვაძესთან და აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ზაალ მიქელაძესთან ერთად მიულოცა.**

**თამარის დასახლებაში მდებარე „სოციალური სახლი“ 10-სართულიანია. შენობაში სულ 58 ბინა განთავსდა. შენობაში მოეწყო წყლის, გათბობისა და ელექტროსისტემები. მშენებლობის პროცესში ჯამში 400 ადამიანი დასაქმდა. მშენებლობა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბიუჯეტიდან დაახლოებით 3 მილიონი ლარით დაფინანსდა. „სოციალური სახლის“ მშენებლობა 2015 წლის ივლისში დაიწყო და 2016 წელს დასრულდა.**

**2013 წლიდან დღემდე აჭარაში საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდა ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების შედეგად დაზარალებული 447 ოჯახი;**

**აჭარის მთავრობის პროგრამით, 2016 წლიდან დღემდე სულ 150 ეკომიგრანტ ოჯახს გაეწია ფინანსური მხარდაჭერა 25 000 ლარის ფარგლებში საცხოვრებელი ფართების შესყიდვის მიზნით;**

**აჭარის ა/რ ტერიტორიაზე 2013 წლიდან სულ 11 სოციალური სახლის მშენებლობა და რეაბილიტაცია განხორციელდა.**





# გეგმა ფინანსური დასაბუთების გარეშე მკვდრადშობილი დოკუმენტია!

**სულ ახლახან გამოქვეყნდა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა“, როგორც მას ქალაქის მესვეურები უწოდებენ და რომლის განხილვა უკვე მოეწყო რამდენიმე უწყებაში, მათ შორის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. გენერალური გეგმები თბილისის განვითარების შესახებ ადრეც ყოფილა მიღებული — არასაბაზრო, დირექტიული ეკონომიკის პირობებში, როდესაც პოლიტიკური ნება ნებისმიერ ეკონომიკურ მიზანშეწონილობაზე მაღლა იდგა. აბსოლუტურად განსხვავებული მდგომარეობაა საბაზრო ეკონომიკის დროს, როდესაც წინა პლანზე გამოდის ეკონომიკური მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის საკითხები. შესაბამისად, გეგმა თბილისის მიწათსარგებლობის შესახებ, მისი მიღების შემთხვევაში, ფაქტობრივად, პირველი იქნება არა მარტო დამოუკიდებელი საქართველოს, არამედ საერთოდ, საქართველოსა და მისი დედაქალაქის უახლესი ისტორიის მანძილზე.**

სურვილი, რომ დედაქალაქს ჰქონდეს თავისი განვითარების გენერალური გეგმა, უდავოდ მისასალმებელია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ დედაქალაქის განვითარების კონცეფცია მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს ქვეყნის განვითარების კონცეფციას, იყოს მისი ორგანული ნაწილი, მით უფრო, რომ საქართველოს დედაქალაქზე მოდის ქვეყნის მოსახლეობის 30 პროცენტი (ქალაქად მაცხოვრებელთა ნახევარზე მეტი), მთლიანი შიდა პროდუქტის 64 პროცენტი, სამეწარმეო სექტორის ბრუნვის თითქმის სამი მეოთხედი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოთხ მეხუთედზე მეტი. და ეს მაშინ, როდესაც თბილისს საქართველოს ტერიტორიის მხოლოდ 1,2 პროცენტი უკავია.

მომზადებული და რიგითი მოქალაქისათვის ინტერნეტით ხელმისაწვდომი ზემოხსენებული დოკუმენტი საკმაოდ ტევადია, მოიცავს ათასზე მეტ გვერდ საცნობარო და საგანზრახულებო შინაარსის ტექსტს. შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში ის კარგი საცნობარო მასალაა თბილისის ისტორიის, არქიტექტურის, გეოგრაფიის, კომუნიკაციებისა და სხვა ასპექტების შესწავლით დაინტერესებული მკითხველისათვის. მაგრამ, რამდენად სისტემურადაა მასში წარმოდგენილი დედაქალაქის დღევანდელი და ხვალინდელი დღის მოთხოვნების ხედვა, რამდენადაა მასში გათვალისწინებული ქალაქისა და ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების დაკავშირება, რეალიზაციის გზები და რესურსები, ეს ჯერ კიდევ სერიოზული მსჯელობის საგანია. დარწმუნებული ვარ, ამის თაობაზე შენიშვნები და შეფასებები მრავალგზის გამოითქმება, თუმცა ამ პროექტის პირველი გამაფრთხილებელი შეფასება უკვე გამოთქვა პროფესორმა მიხეილ ჯიბუტმა, რომელმაც თავის პუბლიცისტურ წერილებში („ივერიონი“, 2017 წლის 11 და 15 აგვისტო), აგრეთვე ტელევიზიით („კავკასია“, 15 აგვისტოს გადაცემა „სპექტრი“) ქალაქის მესვეურებისა და მოქალაქეების ყურადღება, ამ დოკუმენტის სხვა მრავალ შეუსაბამობასა და ლაფსუსთან ერთად, გაამახვილა იმაზე, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების ერთობლიობა:

**ა) არ არის გეგმა, როგორც ასეთი; ბ) რომ მას არ ახლავს ფინანსური დასაბუთება.**

განსაკუთრებითაა აღსანიშნავი, რომ დოკუმენტის მთავარი ხარვეზი ისაა, რომ მასში მითითებული არაა, თუ რა შეიძლება დაჯდეს ამ გეგმის განხორციელება, ამის თაობაზე დოკუმენტი მრავლისმეტყველად დუმს. ჯერჯერობით მხოლოდ ისაა ცნობილი, თუ რამდენი გადაუხადეს გენერალური გეგმის განახლებაზე მომუშავე ჯგუფ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, საქმეს ვერ შველის. სავარაუდო ხარჯების მოცულობისა და დაფინანსების წყაროების განსაზღვრის გარეშე კი გეგმა ისეთივე ბანალურ სურვილად დარჩება, როგორადაც ამ სტატიის ეპიგრაფად წამძღვარებული ჭეშმარიტება.

დიახაც — დედაქალაქის განვითარების გეგმაში უნდა ჩანდეს არა მარტო კონკრეტული მიზნები, არამედ მათი განხორციელებისათვის საჭირო რესურსები, მიახლოებითი ღირებულება და შესაბამისი დაფარვის წყაროები. წინააღმდეგ შემთხვევაში გეგმა ემსგავსება განზრახულობათა ოქმს. თბილისის ბიუჯეტი საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის მხოლოდ 8 პროცენტია, ამასთან, მისი ნახევარი, არსებული საგადასახადო სისტემის გამო, ისევ ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებულ ტრანსფერებზე მოდის. საქართველოს ხელისუფლებას ჯერ არ განუცხადებია რაიმე ცვლილების თაობაზე, რომლითაც ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებს შემოსავლის საკუთარი დამატებითი წყარო გაუჩნდებოდათ. არადა, დღევანდელი საგადასახადო სისტემის შენარჩუნების პირობებში, დედაქალაქს ქვეყნის ბიუჯეტიდან ტრანსფერტების მკვეთრი ზრდის ან გარკვეული პრეფერენციების შეპირების საფუძველზე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გარეშე არ ექნება საკმარისი რესურსები ისეთი მსხვილმასშტაბიანი პროექტების დასაფინანსებლად, რომლებიც არსებითად გადაწყვეტენ დედაქალაქის წინაშე მდგარ ისეთ უმწვავეს საკითხებს, როგორებიცაა:

**— ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, რეკრეაცია, მდინარე მტკვრის აუზის აღნიშნულ პროცესში სრულმასშტაბიანი ჩართვით;**

**— საქალაქო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მათ შორის პარკირების პრობლემა;**

**— საცხოვრისი და საზოგადოებრივი ფონდის განახლება, რეკონსტრუქცია, ძველი უბნებისა და ქუჩების რეაბილიტაცია-რენოვაცია;**

**— ინოვაციური, მაღალტექნოლოგიური და მეცნიერულად ტევადი წარმოებების განვითარება და ამის საფუძველზე ახალი მაღალკვალიფიციური სამუშაო ადგილების შექმნა და უმუშევრობის დონის შემცირება და ა.შ.**

ამიტომ, ვიმეორებ: **გეგმაში უნდა ჩანდეს დაფინანსების კონკრეტული მოცულობა და წყაროები, ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერის მასშტაბები**. მაგალითად, კარგია განზრახულობა მტკვრისთვის რეკრეაციული ფუნქციის მინიჭებაზე (დაბრუნებაზე), შესაბამისი ზონის მოწყობა, მაგრამ ცნობილია, რომ მტკვარში დიდი რაოდენობით ჩაედინება საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ფეკალიები. მტკვრის ეკოლოგიური გასუფთავება ერთიანი სახელმწიფოებრივი სტრატეგიის ნაწილი უნდა იყოს, აქ მარტო დედაქალაქის ხელისუფლების „კეთილი ნება“ საკმარისი ა(ღა)რაა. ისევე, როგორც სატრანსპორტო ქსელის, ინფრასტრუქტურის განვითარება და პარკირების სისტემის მოწესრიგება. ამჟამად, საქართველოს ყველა რეგიონიდან სამუშაოს საძიებლად თბილისისკენ მოემართება ათასობით შრომისუნარიანი პირი. შრომითი მიგრაციისა და მასთან დაკავშირებული საქალაქო პრობლემების გადაწყვეტა შეუძლებელია დედაქალაქის ხელისუფლების ნებისა და რესურსების ფარგლებში — ეს ზოგადსახელმწიფოებრივი ამოცანაა!

საქართველოს დედაქალაქის გეოგრაფიულმა განვრცობამ „სიგანეში“, განსაკუთრებით რიგი სასოფლო დასახლებული პუნქტების შემოერთების შემდეგ, თითქმის გადაასწრო მის განვრცობას „სიგრძეში“ (მტკვრის კალაპოტის გაყოლებით). შესაბამისად, ასეთი გეოგრაფიული გაშლილობის ფონზე შეუძლებელია შენარჩუნდეს ერთი კულტურულ-კომერციული ცენტრი, როგორადაც ბოლო დრომდე მოიაზრებოდა რუსთაველის გამზირი. გეგმაში მკაფიოდ უნდა ჩანდეს, თუ რომელი საქალაქო ქუჩები, მოედნები, კვარტალები შეიძლება მოიაზრებოდნენ „პოლიპრეფერენციულ ცენტრებად“.

თბილისის განვითარებაში ბოლოდროინდელი მთავარი პრობლემა იყო უსისტემობა, ინტერესთა დაუბალანსებლობა ქალაქის ცალკეული უბნების, კვარტალების განვითარებასა და დედაქალაქის, როგორც ერთიანი ცოცხალი ორგანიზმის ინტერესებს, აგრეთვე ცალკეულ მენაშენეთა, დეველოპერულ თუ კომერციულ ჯგუფებს შორის. ამის გამოა, რომ სიმჭიდროვე ქალაქის ზოგიერთ უბანში, მაგალითად, ვაკეში და სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, უკვე გადასცდა ყოველგვარ ეკოლოგიურად დასაშვებ ნორმებს. და ეს ერთეული შემთხვევები არაა. თბილისში საგანგაშოდ სწრაფად იზრდება იმ უბნების რაოდენობა, იმ ტერიტორიის სიდიდე, რომლებიც ზეგაჯერებულია უძრავი ქონებით, საცხოვრისით და კომერციული დატვირთვის მქონე შენობა-ნაგებობებით. ურბანიზაცია, ზოგადად, ზრდის უძრავი ქონების ელემენტების კაპიტალიზაციას. მაგრამ ზეურბნიზაცია უკვე საპირისპირო პროცესების აქსელერატორია - იგი თანდათან აიაფებს, ძირს სცემს ასეთი აქტივების ღირებულებას, ანუ ახდენს მათ დეკაპიტალიზაციას.

ამ მხრივ საგულისხმოა კიევის მაგალითი მიწისქვეშა კომუნიკაციების განვითარებისა და შესაბამისი ურბანისტიკის პოტენციალის გამოსაყენებლად. — ამ ქალაქის მესვეურებმა გაათავისუფლეს მოგების გადასახადისაგან ის ორგანიზაციები, რომლებიც მიწისქვეშა სივრცეებს შექმნიდნენ და გამოიყენებდნენ. ამიტომაც უკრაინის დედაქალაქის მთავარი მოედნის ქვეშ (და არა მარტო იქ) რამდენიმესართულიანი მრავალრიცხოვანი მიწისქვეშა კომერციული უბნებია აშენებული.

როგორც უკვე ითქვა, საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში 60 პროცენტზე მეტი თბილისში იქმნება, რაც თავისთავად არც კარგია, არც ცუდი, მაგრამ, თბილისის იურიდიული პირებისა და მოსახლეობის წილის უმნიშვნელოვანესი როლისა და წვლილის გათვალისწინებით საქართველოს ეკონომიკასა და ბიუჯეტის ფორმირებაში, მიზანშეწონილი იქნებოდა დედაქალაქის გეგმაში ასახულიყო ცენტრალური ბიუჯეტის ჩართულობის ხარისხი (ამჟამად, როგორც უკვე ითქვა, საერთოდ არ ჩანს სახელმწიფო ბიუჯეტის მონაწილეობის პერსპექტივა დედაქალაქის გენერალური გეგმის რეალიზაციაში). დღეისათვის დედაქალაქის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ბიუჯეტისათვის გადახდილი ყოველი 15 ლარიდან მხოლოდ ერთი ხვდება უშუალოდ თბილისის ბიუჯეტში და 14 — ცენტრალურ (სახელმწიფო) ბიუჯეტში, რაც, ვფიქრობ, ქალაქის საკრებულოს, მერიას აძლევს მორალურ უფლებას, ქვეყნის ბიუჯეტიდან მოითხოვონ მეტი დაფინანსება გენერალური გეგმის რეალიზაციისათვის. **თუმცა, ეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გეგმის ავკარგიანობაზე, მიზანშეწონილობასა და სისტემურობაზე საზოგადოებრივი კონსენსუსი მოხერხდება.**

დაბოლოს. თბილისს ოცამდე დაძმობილებული ქალაქი, მათ შორის საარბრიუკენი, ნანტი, ლუბლიანა, ინსბრუკი, ატლანტა, პალერმო, ბრისტოლი, ბილბაო, ერევანი, კიევი, ასტანა, ვილნიუსი, კიშინიოვი, კაირო, დოჰა, თეირანი, მინსკი, სტამბოლი, სოფია, ტომსკი, და თითქმის ამდენივე პარტნიორი ქალაქი ჰყავს, კერძოდ, ოდესა, ანკარა, ბაქო, ათენი, პარიზი, იერუსალიმი, რიგა, კრაკოვი, ვარშავა, ბუდაპეშტი, ხარკოვი, ლვოვი, ლინკოლნი, გუანჩჟოუ, დუბლინი, პრაღა და ატლანტა, რითაც გონივრულად სარგებლობა შეიძლება და ჩვენი დედაქალაქის განვითარების კონცეფციისა და ამის საფუძველზე გენერალური გეგმის შესამუშავებლად კარგი იქნებოდა ამ ქალაქების გამოცდილების გაცნობა და გათვალისწინება.



**იოსებ არჩვაძე**

ამ დღეებში ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI"-ის ინიციატივით გამოიცა ქართველთა სახალხო პოეტის ჯანსუღ ჩარკვიანის რჩეული ლექსები – „ჩვენი ჯანსუღი".

გაზეთის დღევანდელ ნომერში გთავაზობთ რამდენიმე შედევრს კრებულიდან, რომელი შედევრებიც ქართველმა ხალხმა გაითავისა, შეისისხლხორცა და იმ ბუმბერაზ პოეტთა ნააზრევის გვერდით დააყენა, რომელთა ლექსებს ავტორის გვარ-სახელის მოწერაც არ სჭირდება. სწორედ ასეთია ჩვენი ჯანსუღი, ყველასათვის საყვარელი, მართლაც სახალხო პოეტი.

# ვისაც ვუყვარვარ მიყვარს, და ვისაც ვძულვარ, არ მძულს!..

**ჯანსუღ ჩარკვიანის** შემოქმედებას ათეული წლების მანძილზე ინტერესით ეცნობა მკითხველი...

2003 წელს გამოცემულ შთამბეჭდავი ოთხწიგნეულის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, რომ პოეტის ლექსები „მზისკენ გაფრენილი მერნებია, მისგან სულჩადგმული, დაზრდილი, დაფრთიანებული მერნები, რომლებმაც კი არ უნდა იარსებონ, უნდა გაიმარჯვონ". იქვე არაერთი ჩვენი სახელოვანი მამულიშვილი (გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, ანა კალანდაძე, ოთარ ჭილაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, მერაბ ბერძენიშვილი და მრ. სხვ.) გამოხატავენ სიყვარულს და პატივისცემას აღიარებული შემოქმედისა და საზოგადო მოღვაწის მიმართ...

სიმღერებად ქცეული პოეტის ლექსები ხალხმა შეიყვარა...

მას დამსახურებულად არ აკლია თაყვანისმცემლები...

მათ შორისაა **ბ-ნი თეიმურაზ ბერიშვილი,** რომელმაც „მთელი სიწრფოებით" ჩაიფიქრა და განახორციელა ამ მოკრძალებული „წიგნი-ნობათის" შედგენა და გამოცემა.

ამ კეთილ საქმეს დიდად შეუწყო ხელი ბ-მა **იაგო ოლაშვილმა.**

...

რა მშვენივრად გამოხატა ბევრის სათქმელი **მორის ფოცხიშვილმა:**

„მწყურვალისათვის მიტანილი გაქვს წყალი!
მევალისათვის მიტანილი გაქვს ვალი!
საქართველოსთვის გაწირული გაქვს თავი...
ხარ უშურველი, ვითარც სურვილში მახვში...
შენს ციხე-კოშკში ჟღერს სალილეო ქნარი,
შენს სამრეკლოზე რეკს სათნოების ზარი...
შეწამლული გაქვს შესაწამლავი ზვრები,
ცერზე დგები და ცეცხლშიც პირველი ჩნდები...
სხვის ჭირს წამლობ და შენს ცხელ სატკივარს მალავ...
მიხარის, გიმზერ, – კვლავ საწუთროსთან დაობ...
შენი ვალიდან ვერც ვინ ამოდის, ძმაო!"

„ასეა ეს!" – იტყვის ჭაბუა ამირეჯიბი.
და ამას, მრავალთა დარად, ჩვენც სიამოვნებით ვიმეორებთ!

**ვალერი ასათიანი**

## ბეთანია

„ბეთანია – სახლი სათნოებისა და სახლი მორჩილებისა და სახლი დიდებისა".
საბა

შენ არ გინახავს ჩემი ხელები,
ჩემი თვალები და ჩემი მხრები, –
გადარეული თეთრი ცხენებით
და შორეული ზარების ხმებით.
შენ არ გინახავს ჩემი ნისლები,
მთიდან ქორების ფრთით მოტანილი,
თეთრი ქარებით როგორ ივსება
დღეები ლურჯი, ქრისტეს ტანივით.
შენ არ გინახავს ფრესკის სიშორე,
ფერი ფასკუნჯის, ფერი ქედნების,
მირონის სურნელს როგორ იშრობენ
ჩემი სხეულის ძველი კედლები.
შენ არ გინახავს, მოდი და მნახე,
რომ ეს ტაძარი ჩემი ტანია...
სათნოებისა ვარ შენი სახლი,
მორჩილებისა ვარ შენი სახლი,
შენი სხეულის ვარ ბეთანია!..

## ერთის პირობით

მწყურვალისათვის
მიმატანინე წყალი,
მევალისათვის
მიმატანინე ვალი,
გზააბნეულისთვის
მასწავლებინე გზები,
შეუწამლავი
შემაწამვლინე ზვრები,
მომაძებნინე
სხვაგან დამარხული ძმები,
ამ ჩემს მამულში
დამამარხვინე ძვლები,
მათქმევინე:
ქვეყნად სიცოცხლე ღირდა,
მერე წამოვალ
წამოვალ, საცა გინდა.

## ლამაზი სიკვდილი

როცა დაიწყებს წყარო საუბარს,
მზეს რომ მისწვდება ირმის ბღავილი,
შემოასკდება როცა ალუბალს
მუხლზე კაბა და გულზე ყვავილი.
როცა კვირტები აფეთქდებიან,
როცა სიმღერას იტყვი სასურველს,
როცა ირმები დაფეთდებიან,
მზეს შეხედავენ, რქებში ჩაწურვილს.
როცა მერცხალი ზეცას შეუტევს,
როცა მიწაზე მზე და დარი დგას,
ირემი აპრილს კარებს შეუმტვრევს
და ატმის რტოებს რქებად დაიდგამს.
როცა მზე მინდვრებს კალთებს დაუცლის
საგვირილოდ და საენძელოდა,
ირემი ირემს ბალახს გაუწვდის
და რქას მიურტყამს სადღეგრძელოდა.
როცა ძეწნები ატირდებიან
და აკოცებენ ვაზებს ხარდნები,
შევხედავ ზეცას ნატვრისთვლებიანს,
ავტირდები და ავხარხარდები.
მოიგონებენ წარსულს მკვიდრები,
აბუბუნდება ქვეყნად ყველა მთა,
გავდიადდები, გავსულდიდდები
და ავენთები მამულს კელაპტრად.
დავდგები ცერზე, როგორც ავაზა,
ერთს გადავხედავ დღეებს გაფრენილს,
მერე მოვკვდები ისე ლამაზად,
ვით დაიბადა ეს ყველაფერი.

## ჩვეულებრივი სინანული ანუ ლექსი დედაზე

თურმე ქვეყნად ყველაფერი ჭკნება,
წყნარდება და ემსგავსება ზღაპარს,
ჯვარზე მოსჩქეფს ღვთივ დაცული ვნება –
მიმსუბუქებს ჯოჯოხეთურ ჭაპანს
უცხო ქუჩებს მარტო მივსდევ ფეხით,
შენს მოწყენას მე რა თავში ვიხლი,
მეცხრე ციდან მომივარდა მეხი
და ჭინჭილა გამიტეხა თიხის.
იქნებ, მართლა არაფრისთვის გავჩნდი,
არაფრისთვის მივსდევ მზისკენ მერნებს,
ვენაცვალე შენს დაღალულ აჩრდილს,
ლოცვასავით შენს დაქანცულ ნერვებს,
გაძარცული ხენი დგანან თუთის,
მეჩვენები ფრთებით ნათლის წრიდან,
მე ცოდვილი შემიწყალე წუთით
და მფარველი მომივლინე წმინდა.

## მთავარი მაინც მამული არის!

ვერ დავიჯერებ, რომ ჩვენს მწვერვალებს
ჩვენს შორის ვინმემ გადაუფრინა,
ვერ დავიჯერებ, იყოს მძლევარი,
იყოს მძლევარი, გარდა უფლისა.
ახლა ვინ არის ასე მცთომარე,
ასე მცოდველი და მჩემებელი.
მოდის თამარის სავსე მთოვარე,
მე უნდა მისი დავრჩე მხლებელი.
ვერ დავიჯერებ, რომ შენს მთაწმინდას
არ ჰქონდეს მაინც კაცის ნაკვლევი...
მაშ, რაც წყვდიადში უცებ გაბრწყინდა,
სწორედ ის არის შენი სამკელი.
სწორედ ის არის შენი ნალხენი
და თუ მძლევარი ფეხდაფეხ მოგდევს,
იქ უნდა ჰპოვო შენი სახელი,
ბოლოს და ბოლოს იქ უნდა მოკვდე.
და თუ გიმტყუნებს თვალი ტიალი,
და თუ გიმტყუნებს მთვარე თამარის,
მთავარი მაინც მამული არის,
განსაცვიფრებლად არის მთავარი.

## მზისადმი

მზეო, ჩემო წინაპარო,
იბერიის ტომისა ხარ,
ბნელში უნდა ილამპარო,
ფაფრიანი ლომისა ხარ.
დილით გამომცხვარო პურო,
დედაჩემის თონისა ხარ;
საქართველოს ნათლის ფარო,
მამაჩემის თორისა ხარ,
ხან რო ღრუბლებს მოიფარებ,
გლოვისა და წყრომისა ხარ;
ჩემი დილამშვიდობის და
ჩემი მწუხრის ომისა ხარ.
ფერდობზე რომ გამოჩნდები,
მოგოგმანე გნოლისა ხარ,
არაგვზე რომ დაბრძანდები,




დამსხვრეული ბროლისა ხარ.
იონჯაში გაერევი,
გვირილების მოლისა ხარ;
გვერდულად რომ ჩაიცინებ,
უცისფრესი თოვლისა ხარ.
მზეო, ჩემო წინაპარო,
იბერიის ტომისა ხარ,
ბნელში უნდა ილამპარო,
ფაფრიანი ლომისა ხარ.

## საქართველო

მაგ ერთი მუჭა ხალხიდან –
გმირი და გმირი უთვლელი,
მარტო ილია რად ღირდა,
რად ღირდა დიდი რუსთველი.
დიდი ხარ, სანატრელი ხარ,
ხმალჩაუგები გმირი ხარ,
მზე ჩნდება, სადაც მღერიხარ,
ზღვა ჩნდება, სადაც სტირიხარ.
მაგრამ შენ, ჩემო იმედო,
მაინც ვერ დგახარ ამაყად, –
ტყვიისთვის რომ გაიმეტონ,
ისეთი შვილი არა გყავს.

## არაგვი

ტურისტული მოგზაურობიდან
დაბრუნებულ ნაცნობს

– აი, დუნაი, მდინარე,
სხვა მდინარეს რომ არა ჰგავს,
აქედან გამომდინარე -
სიტყვა არა თქვას არაგვმა.
არაგვი მაინც ორღანს ჰგავს,
მის ხმას რა თავში ვიხლიდი,
მთელი არაგვის მონაგარს
ერთი დუნაით ვიყიდი...
ამას ამბობდა ქართველი,
გადარეული ავსტრიით,
მაშინ ვერ გითხარ სათქმელი,
იმ დღიდან სათქმელს დავსტირი.
– ეს, შენ გგონია ორღანი,
ბუნებით მთვრალს და მგლოვიარს,
არაგვი როცა მობღავის –
მე ღმერთის რისხვა მგონია.
ცრემლები დასდის მწარენი, –
მოაგრიალებს როს ჭალებს,
რას ამბობ, სხვა მდინარენი
ფეხებსაც რომ ვერ მოსჭამენ.

## ირმა გიგანი

ერთადერთი სვანი შემშლის
მხარა-უშბის გრიგალით,
ჩემს პატარა საირმეში,
შენ ხარ ირმა გიგანი.

## აკურთხე ივერთ მხარეო

ცისკრით მინთია სანთელი
და გულის გულში მეგულვი,
ღმერთო, გევედრი ქართველი, –
შენი დღე-ღამის ერთგული.
არ გამიუქმო მკა-თესვა,
ზამთარში მომე ზამთარი,
ღვთისშვილად მიხმე ნათესავს,
აფთარს დაარქვი აფთარი.
სიცხეც მომეცი, – ყინვაცა,
სვანიც მიცოცხლე, მარგალიც,
ვილოცებ, თან ჩაგიმარცვლავ
ქართული სიტყვის მარგალიტს.
გამიზიარე ძმის ხვედრი,
შენგნით შექმნილის ყოვლისა,
უფალო, რწმენას მიხედე
გელათს, მცხეთას და ბოლნისსა!
ეშმაკი ცხრამხრივ ტიალობს,
ცხრა მხრიდან გვინთებს ხანძრებსა,
მიხედე საქრისტიანოს
ხატებანთებულ ტაძრებსა!
სთქვი, კურთხევაი ჭურისა,
ხელისა გამმართავისა,
თანახმად ჩვენი რჯულისა,
თანახმად სამართალისა.
მიხარე, ყველა მიხარე,
ჩრდილიც მიხარე ყველა ხის,
ღმერთო, მიხარე მზის მხარე,
მისი ბაღი და ვენახი.
ქართლ-კახეთიც და იმერიც,
გურულიცა და ხევსურიც,
რუსთველის თვალით მზირველი
მესხი მზისქება-შესხმული.
ჩემი აჭარის ლურჯი ცა,
აფხაზთა სისხლი კოლხური,
სხვაგან მლოცველი გურჯიცა,
მიწა, იმ სხვაგან მოხნული.
სული უბერე ჯავახეთს,
შენ გამიხარე ფშაველი,
ოქრო-ნაქარგი მანახე
რაჭა-ლეჩხუმის მთა-ველი.
თუშს, მოხევეს და მთიულსა
ანდე ვარსკვლავი ცისკრისა,
ვენაცვალე შენს ფირუზსა,
ჭირიმე შენი ცისფრისა,
სუყველა შენთან მარხია,
ვისაც სიცოცხლეს ანიჭებ,
ეს ცა ხომ შენი სახლია,
ეს ცა – იბერთა კარიბჭე.
შთამომავლობით აკურთხე
ვინც უნდა გაჩნდეს ხვალეო,
ცხრა მთა, ცხრა ზღვა და ცხრა კუთხე,
აკურთხე ივერთ მხარეო.
აქ ქვაც არ გდია უბრალოდ,
შენია ნაამაგარი,
ამ სიტყვებს ვამბობ, უფალო,
ლაშარის გორზე შამდგარი.

# 11 წელიწადში ლიცენზია მხოლოდ 8 ექიმს გაუუქმდა!

**2006 წლიდან 2017 წლის აგვისტომდე ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტომ სერტიფიკატი მხოლოდ 8 ექიმს გაუუქმა, ეს მაშინ, როდესაც კლინიკებში გარდაცვლილი თითქმის ყოველი მესამე პაციენტის ოჯახი მომხდარში ექიმს ადანაშაულებს. მართალია, სამინისტრო ყველა ამ ფაქტს სწავლობს, თუმცა არსებული სტატისტიკიდან ისეთი სურათი იკვეთება, რომ გარდაცვლილი პაციენტების ოჯახის ბრალდება ხშირად უსაფუძვლოა.**

არადა, ფაქტები, როდესაც ოჯახის წევრები პაციენტის გარდაცვალებაში ექიმებს ადანაშაულებენ, არც ისე ცოტაა. მხოლოდ ივლისში 3 ასეთი შემთხვევა გახმაურდა.

**2017 წლის 19 ივლისი — თერჯოლის კლინიკაში, ორ წლინახევრის გოგონა ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა. დაღუპულის ახლობლები მომხდარში ექიმებს ადანაშაულებენ. მათი თქმით, ბავშვმა ლავიწის ძვალი დაიზიანა, რის გამოც მას ოპერაცია გაუკეთეს, რის შემდეგაც ბავშვი დაიღუპა.**

**2017 წლის 9 ივლისი — ბათუმში 34 წლის მშობიარე ქალბატონი გარდაიცვალა. პაციენტის ოჯახი მშობიარეს გარდაცვალებაში ექიმს ადანაშაულებდა.**

**2017 წლის 8 ივლისი — გორის საავადმყოფოში ასაკოვანი ქალბატონი გარდაიცვალა. გარდაცვლილის შვილი მკურნალ ექიმებს გულგრილობაში ადანაშაულებდა.**

ყველა ამ და სხვა ფაქტზე ჯანდაცვის სამინისტროს რეგულირების სამსახურმა სპეციალური მოკვლევაც ჩაატარა. ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოდან „კომერსანტისთვის" მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, **2016 წლის მონაცემებით — პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ 198 ექიმს დაეკისრა პროფესიული პასუხისმგებლობა, მათ შორის: 105 ექიმს მიეცა „წერილობითი გაფრთხილება, სახელმწიფო სერტიფიკატის მოქმედება სხვადასხვა ვადით შეუჩერდა 93 ექიმს. აქედან: 1 თვით — 46 ექიმს, 2 თვით — 32 ექიმს, 3 თვით — 6 ექიმს, 4 თვით — 2 ექიმს, 5 თვით — 2 ექიმს, 6 თვით — 5 ექიმს.**



## რატომ ვერ რეაგირებს ჯანდაცვის სამინისტრო ქართველი ექიმების არაკეთილსინდისიერებაზე?

სააგენტოს ინფორმაციით, **2017 წელს, მომართვის საფუძველზე, მიმდინარეობს 27 შემთხვევის შესწავლა, რაც პაციენტის გარდაცვალების ფაქტთან არის დაკავშირებული. მთლიანად კი 2006 წლიდან 2017 წლის 3 აგვისტოს პერიოდში სერტიფიკატი 8 ექიმს გაუუქმდა.**

**"11 წელიწადში მხოლოდ 8 ექიმისთვის ლიცენზიის ჩამორთმევა, რა თქმა უნდა, ცოტაა, რადგან პაციენტის ოჯახების მხრიდან ექიმის დადანაშაულების ფაქტები ბევრად მეტია",** — აცხადებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ჯანდაცვის პოლიტიკისა და მართვის სპეციალისტი **სერგო ჩიხლაძე** და სამინისტროს ექიმების პროფესიული ზრდისთვის უფრო აქტიური ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებს.

**„ნებისმიერი სხვა ქვეყნის სტატისტიკა რომ აიღოთ და შეადაროთ მას ეს მონაცემი, ვნახავთ, რომ ექიმის სერტიფიკატს ბევრად მეტ ექიმს ართმევენ. ჩვენი სტატისტიკა კი ორ რამეზე მეტყველებს: ერთი ის, რომ კონკრეტული შემთხვევების განხილვა ბოლომდე არ ხდება. ის ადამიანები, ვისაც პრობლემები ექმნებათ ჯანდაცვის სამინისტროში არ მიდიან ამ საქმეების განსახილველად. მეორე არის ის, რომ ხშირად ექიმის მიმართ უნდობლობასთან დაკავშირებული საუბრები ხშირად გადამეტებულია და ჯანდაცვის სამინისტრომ ამის გამოსწორებაში თავისი წვლილი უნდა შეიტანოს",** — განაცხადა სერგო ჩიხლაძემ.

სერგო ჩიხლაძის თქმით, ზოგიერთ შემთხვევაში ექიმის კვალიფიკაციის პრობლემა დგას და მის ამაღლებას ხელი სახელმწიფომ აუცილებლად უნდა შეუწყოს.

ქართველი ექიმების არაპროფესიონალიზმზე, მათ მიერ ზედმეტი მედიკამენტების გამოწერასა და ამასთან, პაციენტის მდგომარეობის ხელოვნურად დამძიმებაზე „კომერსანტი არაერთხელ წერდა. განსაკუთრებით საგანგაშო სტატისტიკა გვაქვს დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობაზე. ბოლო 2 წლის განმავლობაში ექიმთა შეცდომების გამო 60-ზე მეტი მშობიარე და ჩვილი დაიღუპა. ასეთ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ექიმების პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხი დგება, ისინი გარკვეული დროის შემდეგ სამედიცინო საქმიანობის შესრულებას მაინც აგრძელებენ.

ამ საკითხით „კომერსანტი" რამდენიმე წელია, დაინტერესებულია. ფაქტია, რომ ბოლო პერიოდში პაციენტების დაღუპვის არც ერთ ფაქტს, რომელშიც ექიმების ბრალეულობა დადასტურდა, ამ ექიმებისადმი სათანადო სიმძიმის სასჯელი არ მოჰყოლია და საბჭო მაქსიმუმ ლიცენზიის რამდენიმეთვიანი შეჩერებით ან სამედიცინო დაწესებულებებისთვის ჯარიმების დაწესებით შემოიფარგლება. სხვა სადამსჯელო ღონისძიება ექიმების წინააღმდეგ პრაქტიკულად, არ გატარებულა.

რამდენიმე თვის წინ „კომერსანტთან" საუბრისას პროფესიული განვითარების საბჭოს რამდენიმე წევრმა, კონფიდენციალობის დაცვის პირობით, ისიც განაცხადა, რომ სააგენტოს წევრები უფრთხილდებიან თავიანთი კოლეგების იმიჯს და ყველაზე მძიმე შემთხვევების დროსაც კი მათთვის ლიცენზიის შეჩერებაზე მკაცრ სასჯელს არ ითხოვენ. ისინი ამბობდნენ, რომ მათ მიერ განხილული შემთხვევების 80%-ში ექიმების ბრალეულობა დასტურდება, თუმცა პროფესიული სოლიდარობის გამო ასეთი ექიმები ფაქტობრივად, დაუსჯელები რჩებიან და რამდენიმე თვეში უპრობლემოდ აგრძელებენ პაციენტების მკურნალობას.

ეს ყველაფერი კი იმაზე მიუთითებს, რომ ჯანდაცვის სამინისტრო პრობლემას ვერ ერევა ან არ სურს, საკითხის გადაჭრა. ფაქტია, რომ ჯანდაცვის სფეროში პრობლემებია და აუცილებელია, მისი სასწრაფოდ მოგვარება. არ შეიძლება პაციენტის ჯანმრთელობის ხელოვნური დამძიმება ექიმის ფინანსური ინტერესი იყოს, არ შეიძლება კლინიკებში მუშაობას აგრძელებდნენ ის ექიმები, რომელთა არაკვალიფიციურობის გამო ბევრი პაციენტი იღუპება და ა.შ. აუცილებელია, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ, კერძოდ კი მინისტრმა სასწრაფოდ მოახდინოს ამაზე მკაცრი რეაგირება!..

**ლიკა გურაბანიძე**

**◎ თაობა**

# „ლიბერთი" „დიდი შარაგზიდან": რას გვიქადის ცვლილებები?

**მეტად საგულისხმო სიახლეა საქართველოს საბანკო სექტორში: მოყოლებული 14 აგვისტოდან ერთ-ერთ უმსხვილეს და სამთავრობო წრეებთან დაახლოებულ კომერციულ „ლიბერთი ბანკში" ნაკლებად ხმაურიანი „კარის გადატრიალება" მოხდა: ქვეყნის ყოფილი პრემიერი, მანამდე „საქართველოს ბანკის" ყოფილი გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ გურგენიძე თავკაცობიდან წავიდა, ამიერიდან „ლიბერთი ბანკზე" კონტროლს ბადრი პატარკაციშვილის ოჯახი განახორციელებს, რომლის სახელით მის მოღვაწეობას ირაკლი რუხაძე, გიორგი კალანდარიშვილი და დავით შონია წარუძღვებიან.**

ცვლილებებთან დაკავშირებით გამართულ ბრიფინგზე ლადო გურგენიძემ ბანკში საკუთარი საქმიანობის ერთგვარი ანგარიში წარადგინა და აღნიშნა, რომ რვა წლის წინათ „ლიბერთი" იმ დროს „სახალხო" წამგებიანი, უარყოფითი საზედამხედველო კაპიტალის, მცირე — 15-მილიონლარიანი — საწესდებო კაპიტალის მქონე ბანკი იყო, ამჟამად კი ის მაღალმომგებიანი საფინანსო ინსტიტუტია, რომლის კაპიტალი, ბოლო მონაცემებით, 170 მილიონ ლარზე მეტია.

სააკაშვილის ხელისუფლების ამ გამორჩეული ნებიერა ჩინოსნის მიერ (რომელიც ამჟამადაც „ლიბერთი ბანკის" უმაღლეს მენეჯმენტში რჩება) საკუთარ ღირსებათა წარმოჩენის ამბავი არანაირად არ არის გასაკვირი. სავსებით ადვილი საპროგნოზო იყო, რომ იგი არაფერს იტყოდა 2009 წლის შემდეგ „ლიბერთი ბანკის" საქმიანობის რეალურ შედეგებზე, მისი ხელშეწყობით განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებზე, მენეჯმენტის მუშაობის ხარვეზებსა და ა.შ. ცხადია, ექს-პრემიერისთვის კიდევ უფრო მეტად არახელსაყრელი იქნებოდა იმის ხსენება, რომ ბანკის ერთადერთი მძლავრი საშემოსავლო წყარო... მთავრობის მოწყალება — კერძოდ, საპენსიო სესხებია: ყველამ კარგად ვიცით, რომ **„ლიბერთი ბანკი" სახელმწიფო სოციალური გასაცემლების მომსახურე ქვეყნის ერთადერთი ბანკია, რომელიც შესაბამის ტენდერებში „ორკესტრიც თავადაა, პირველი ვიოლინოც და დირიჟორიც"** — ის მათში მარტო თავად მონაწილეობს და, ცხადია, გამარჯვებულიც მუდამ თავად არის. ეს ჯერ კიდევ სააკაშვილის მმართველობის დროს დამკვიდრებული პრაქტიკა დღემდე „პირამიდებივით ურყევია".




თუ რამდენად სამართლიანია ასეთი ვითარება არა მარტო „ლიბერთი ბანკის" უშუალო კონკურენტი სხვა კომერციული ბანკებისთვის, არამედ მისი უმთავრესი კლიენტურისთვის — პენსიონერთათვის, თავადაც შეგიძლიათ განსაჯოთ, ბატონებო. **„ლიბერთი ბანკი" ერთპიროვნულად ფლობს ქვეყნის უკლებლივ ყველა პენსიონერისთვის (რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა უკიდურესად გაჭირვებულია!) ერთადერთ ხელმისაწვდომ საკრედიტო პროდუქტს — სოციალურ საპენსიო სესხს.** მათ, ვისაც ერთხელ მაინც უსარგებლია „ლიბერთი ბანკიდან" გამოტანილი საპენსიო კრედიტით, შესანიშნავად იცის, რომ კიდევ ერთხელ ამის გაკეთება არამც და არამც არ ღირს — ასეთი საშინლად მაღალი პროცენტები თითქმის არც ერთ ბანკში არ არის: **საპენსიო სესხის საპროცენტო განაკვეთი 100 პროცენტია(!) და ონლაინ-სესხების წლის განაკვეთს უტოლდება.** აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბანკის საკრედიტო პოლიტიკის მაგისტრალური მიმართულება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე და არა ეკონომიკურ სუბიექტებზე სესხების გაცემაა.

თუ როგორი შემოსავალი აქვს „ლიბერთი ბანკს" და რა რესურსი გააჩნია საიმისოდ, რომ უმწეო პენსიონერები არ ძარცვოს, ვფიქრობთ, შემდეგი ციფრების მოყვანა კმარა: მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საურავებიდან და კლიენტებზე გაცემულ სესხებზე ჯარიმებიდან საქართველოს კომბანკებმა დაახლოებით 38 მილიონი ლარის შემოსავალი მიიღეს, რა თანხიდან 13 მილიონი ლარი (მესამედზე მეტი) სწორედ მის წილად მოდის!

თუ რა ცვლილებები მოხდება „ლიბერთი ბანკის" საკრედიტო პოლიტიკაში მეპატრონისა და უმაღლეს მენეჯმენტში გადანაცვლების შემდგომ, შეწყდება თუ არა უკიდურესად გაჭირვებულ პენსიონერთა უმოწყალო ძარცვის პოლიტიკა, რასაც სააკაშვილ-ბენდუქიძის კარის ბანკირის თავკაცობით წარმოებდა, ამას ცოტა ხანში შევიტყობთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

**◎ გვწერენ**

# მკითხველი ორი ხიდის აშენებას მოითხოვს

## ვერც ჯარიმებით და ვერც ქულებით მოძრაობა ვერ შემსუბუქდება

**დღეს თბილისში მოძრაობა ყოველდღიურად რთულდება. განსაკუთრებით თუ ვინმე სტუმარი ჩამოდის, ქალაქი პარალიზებულია!**

თბილისში სულ მცირე სასწრაფოდ ორი ხიდი თუ არ გაკეთდა, ქალაქი სატრანსპორტო კოლაფსის წინაშე დადგება.

ნუთუ არ შეიძლება სახელმწიფომ ეს განახორციელოს?

თქვენი ყურადღება გვინდა ნაძალადევის რაიონზე გავამახვილოთ. გადასასვლელი ხიდიდან დადიანის გამზირზე შესაძლებელია ცალმხრივი მოძრაობის ორგანიზება. მეორე მხარე შესაძლებელია თოფურიძის ქუჩაზე მოეწყოს, რაც გარკვეულად შეამსუბუქებს ამ მონაკვეთს. გახსოვთ ალბათ, ჯერ კიდევ 80-იან წლებში დაიწყეს დიდუბიდან სამანქანო ესტაკადის გაკეთება. ბოძები დღესაც დგას რკინიგზის ლიანდაგებზე. თუ ეს საკითხები დროულად არ განხორციელდა, ვერც ქულებით და ვერც ჯარიმებით თბილისში მოძრაობა ვერ შემსუბუქდება.

**ნ. კუჭუხიძე, მ. დოლიძე, თ. ნიბლაძე**

სტალინი მუდმივად ფიქრობდა რუსეთის გავლენის ზონის განუხრელ გაფართოებაზე. იმ დარგებშიც კი, რომლებშიც რუსული გავლენა არასოდეს ყოფილა. 1945 წლის აგვისტოში ამერიკის პრეზიდენტ რუმენთან მოლაპარაკებებში ის პრეტენზიას აცხადებდა იმაზე, რომ საბჭოთა კავშირისთვის გამოეყოთ ოკუპაციის ზონა... იაპონიის კუნძულ ხოკაიდოზე. ტრუმენისთვის 1945 წლის 16 აგვისტოს გაგზავნილ წერილში სტალინი წერდა:

**„...საბჭოთა ჯარებისთვის იაპონიის შეიარაღებული ძალების ჩაბარების რაიონში ჩაირთოს კუნძულ ხოკაიდოს ჩრდილოეთი ნახევარი, რომელიც ესაზღვრება ჩრდილოეთში ლაპერუზას სრუტეს, კარაფუტოსა და ხოკაიდოს შორის რომ მდებარეობს. სადემარკაციო ხაზი კუნძულ ხოკაიდოს ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევრებს შორის გავიყვანოთ ხაზზე, რომელიც მოდის კუსორის მთებიდან კუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე ქალაქ რუმოემდე კუნძულის დასავლეთ სანაპიროზე, აღნიშნული ქალაქების კუნძულის ჩრდილოეთ ნახევარში ჩართვით. ამ უკანასკნელ წინადადებას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა რუსული საზოგადოებრივი აზრისათვის. როგორც ცნობილია, იაპონელებს 1919-1921 წლებში თავისი ჯარების ოკუპაციის ქვეშ ჰქონდათ მთელი ჩრდილოეთი შორეული აღმოსავლეთი. რუსული საზოგადოებრივი აზრი იქნებოდა სერიოზულად ნაწყენი, თუ რუსეთის ჯარებს არ ექნებოდათ ოკუპაციის რაიონი, კერძოდ იაპონიის ტერიტორიის რომელიმე ნაწილში. ძალიან მინდოდა, რომ ზემოთ აღნიშნული ჩემი თავმდაბლური სურვილები არ შეხვდებოდნენ წინააღმდეგობას“.**

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გაჭრით უარყო ეს მოთხოვნა, რომელიც იყო გამოთქმული, შეგახსენებთ, ამერიკელთა მიერ მეორე ბირთვული დაბომბვის ერთი კვირის შემდეგ! ოპერაცია ჩვენი ჯარების გადასხდომის შესახებ ხოკაიდოზე, რომელიც იყო მზად და დანიშნული იყო 1945 წლის 23 აგვისტოსთვის, სტალინმა გააუქმა წინა დღით — 22 აგვისტოს...

დღეს ეს მეტად აქტუალურად ჟღერს და ერთგვარად წარმოუდგენლადაც. მაგრამ ომის შემდეგ სტალინი ცდილობდა გაეფართოებინა ჩვენი ქვეყნის გავლენის ზონა, მასში... ლიბიის ჩართვით! აი როგორ იხსენებს ამას მოლოტოვი (მან კი იცის, რას ამბობს, — ის ხომ ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო):

**„ომის შემდეგ დაგვჭირდა ლიბია. სტალინი ამბობს: „აბა შენ იცი, მიაწექი!“**

**— რა არგუმენტი გქონდათ?**

**— საქმეც ისაა, რომ არგუმენტირება ძნელი იყო. საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის ერთ-ერთ სხდომაზე განვაცხადე, რომ ლიბიაში გაჩნდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მაგრამ იგი ჯერჯერობით სუსტია, ჩვენ გვინდა მას მხარი დავუჭიროთ და ავაგოთ იქ ჩვენი სამხედრო ბაზა. ბევინი (დიდი ბრიტანეთის მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი) ცუდად გახდა. მას ნემსიც კი გაუკეთეს.**

**მოგვიწია უარის თქმა. ბევინი ფეხზე წამოხტა, ყვირის: „ეს არის შოკი, შოკი! შოკი, შოკი! არასოდეს თქვენ იქ არ ყოფილხართ!“**

**— როგორ დაასაბუთეთ?**

**— დასაბუთება ძალიან ძნელი იყო. კი, გაურკვეველი იყო. თითქოსდა, დამოუკიდებლობა, მაგრამ რომ გაუფრთხილდე ამ დამოუკიდებლობას... ეს საქმე არ გავიდა. ადრე ჩვენ ნაკლებ ყურადღებას ვუთმობდით არც თუ მთლად მაგარ საზღვრებს, რომლებიც აფრიკაში იყო. მე დამავალეს დამეყენებინა საკითხი, რომ ეს რაიონი ჩვენთვის გადმოეცათ, ჩვენი კონტროლის ქვეშ. დავტოვოთ თავისთვის ისინი, ვინც იქ ცხოვრობს, მაგრამ ჩვენი კონტროლის ქვეშ. უმალვე ომის დამთავრების შემდეგ“ (თ. ჩუევი. ას ორმოცი საუბარი მოლოტოვთან).**

1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიამ მოახდინა კაპიტულაცია. მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა. იმ დღეს სტალინი გამოვიდა ხალხისადმი მიმართვით. გარდა გამარჯვების სიხარულისა და მილოცვებისა, სტალინის სიტყვებში გაისმის რუსული იარაღის რევანშის სიამაყე. სტალინი სიტყვებში მეფის რუსეთის სსრ კავშირის პირდაპირი წინაპარია. ეს ერთი ქვეყანაა — ეს რუსეთის ტრიუმფია...

**მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მსოფლიო მდორედ წავიდა მესამისაკენ. დასავლეთმა დაიწყო ომის მუდმივი დაგეგმვა სსრ კავშირის — რუსეთის წინააღმდეგ, რაც, უნდა ითქვას, დღემდე არაა დამთავრებული. მხოლოდ სტალინის დიპლომატიურმა ნიჭიერებამ ხელმძღვანელის ტალანტთან ერთად მოგვცა საშუალება, თავიდან აგვეცილებინა დასავლეთთან საომარი შეტაკება. ახლა ხომ საკითხი შეეხებოდა მომავალი მსოფლიოს სახის ჩამოყალიბებას. და აქ ანგლოსაქსებს ჰქონდათ მზა პროექტი: დოლარი მსოფლიო სარეზერვო ვალუტის სახით. ეს ნიშნავდა ოქროსგან, როგორც მსოფლიოს ფულადი ეკვივალენტისგან თანდათანობით უკან დახევას და მის საკმაოდ სწრაფ შეცვლას დოლარით, რომელსაც საკმაოდ უკონტროლოდ გამოუშვებდა შეერთებული შტატები. საბჭოთა კავშირს სთავაზობდნენ ჩაწერილიყო ამ სისტემაში წამყვანის უფლებე-**




**ბით და არსებითად უარი ეთქვა თავის სუვერენიტეტზე. 1944 წლის 3-22 ივლისს ამერიკის ქალაქ ბრეტონ-ვუდსში გაიმართა კონფერენცია, რომელზეც მიიღეს გადაწყვეტილებები დოლარის მომავალი როლის, მსოფლიო ბანკისა და მსოფლიო სავალუტო ფონდის შექმნის შესახებ. ეს იყო დღევანდელი გლობალიზაციის პირველი აგური. სსრ კავშირის დელეგაცია მონაწილეობას ღებულობდა ამ კონფერენციაში და ხელი მოაწერა ყველა დოკუმენტს, მაგრამ სტალინმა საბოლოო ჯამში არ მოახდინა შეთანხმებების რატიფიცირება, და ისინი ძალაში შევიდნენ 1945 წლის დეკემბერში უჩვენოდ.**

დასავლეთის პასუხი გახდა ყველა პოზიციაზე კონფრონტაცია. იმის სასტარტო წერილი, რომელსაც შემდგომ ცივ ომს უწოდებენ, გახდა ჩერჩილის სწორედ ფულტონის სიტყვა, რომელიც მან 1946 წლის 5 მარტს წარმოთქვა. შემდეგ ამას მოჰყვა ურთიერთობის მკვეთრი გაუარესება სსრ კავშირსა და „მოკავშირეებს“ შორის. 1947 წლის 12 მარტს ოფიციალურად ღებულობენ ეგრეთ წოდებულ ტრუმენის დოქტრინას, რომელიც ღიად აცხადებდა ცივი ომის პოლიტიკას. მსოფლიოს ორ ბანაკად დაყოფის პირველი თვალსაჩინო წერტილი გახდა გერმანიის გაყოფა ორ ნაწილად. ინიციატივა ამ საკითხში მთლიანად დასავლეთს ეკუთვნოდა: სტალინი მხოლოდ ადეკვატურად უპასუხებდა, იცავდა თავდაცვის პოზიციას. შემოწმება მეტად მარტივია: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის თარიღი 1949 წლის 23 მაისია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თარიღი — 1949 წლის 7 ოქტომბერი. ან კიდევ — სამხედრო ბლოკი ნატო შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს, ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების „საპასუხო“ სამხედრო ბლოკის შექმნის თარიღი — 1955 წლის 5 ივნისია. უბრალოდ თარიღების დაპირისპირების დროს შეიძლება ადვილად დარწმუნდე, ვის ეკუთვნოდა ინიციატივა დაპირისპირებაში.




რატომ ჩვენ არ ვთამაშობდით აქტიურ როლს დაპირისპირებაში? ატომური ბომბი ხომ იმ პერიოდში მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონდა. სანამ ეს ატომური ჭურვები ცოტა იყო, დაგეგმილი დარტყმა სსრ კავშირზე არ ხორციელდებოდა მხოლოდ საბჭოთა კავშირის სიძლიერის გარანტირებული განადგურების არარსებობის მიზეზით. თვითმფრინავებზე ატომური ჭურვების ნაწილის ჩვენი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მიერ განადგურება გარდაუვალი იყო. სსრ კავშირის პასუხი ევროპის ოკუპაციით და ინდოეთის ოკეანეში გასვლით ჩვეულებრივ სამხედრო შეტაკებას ანგლოსაქსებისთვის ხდიდა გადაჭარბებულად ძვირადღირებულ ღონისძიებად. ამიტომ მათ გადაწყვიტეს, უბრალოდ დაემზადებინათ მეტი ბირთვული ჭურვი, რათა გარანტირებულად გაენადგურებინათ რუსეთი, მისი ეკონომიკა და სამხედრო პოტენციალი. მიდიოდა შეჯიბრება: მიიღებს სსრ კავშირი თავის საკუთარ ატომურ ბომბს — ომი არ იქნება. თუ ამერიკის შეერთებული შტატები ადრე შეძლებს შექმნას სსრ კავშირის განადგურებისათვის საკმარისი ჭურვები — დარტყმა გარდუვალია, დაიწყება მესამე მსოფლიო ომი. აი ომისშემდგომი პოლიტიკის არსი, სწორედ ასეთ პირობებში სტალინს წესრიგში მოჰყავდა ქვეყნის ეკონომიკა, რომელმაც კოლოსალური დანაკარგები განიცადა. 1947 წლის 15 დეკემბერს სსრ კავშირში გააუქმეს ბარათები სურსათზე. დამახასიათებელი დეტალი — დიდ ბრიტანეთში იმ დროს ბარათები შენარჩუნებული იყო. და ეს მაშინ, როდესაც ორი ქვეყნის ეკონომიკების დანგრევა არანაირ შედარებას არ ექვემდებარებოდა. 1947 წლის 16 დეკემბერს სსრ კავშირში განხორციელდა ფულადი რეფორმა. შემცირდა ფასები პურზე, ფქვილზე, ბურღულზე, მაკარონზე და ლუდზე. სახელმწიფო ფასები ხორცზე, თევზზე, ცხიმიან საჭმელებზე, შაქარზე, საკონდიტრო ნაწარმზე, ალკოჰოლსა და თამბაქოზე არ შეცვლილა. ხალხი ცხოვრობდა გაჭირვებაში? ნებისმიერი ომის დროს ცხოვრების დონე დაბლა იწევს. ასე იყო ყოველთვის და ყველგან. მთავარია — ქვეყნის ხელმძღვანელობის სურვილი და მისწრაფება — აამაღლოს ცხოვრების ეს დონე. სტალინს უბრალოდ კი არ უნდოდა ეს, არამედ დგამდა აქტიურ ნაბიჯებს ამ მიმართულებით.

1946 წლის 25 აგვისტოს გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „იმ საწარმოებისა და მშენებლობების მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის ხელფასის გადიდებისა და საცხოვრებელი ბინების მშენებლობის შესახებ, რომლებიც განთავსებული არიან ურალში, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში“. ეს სხვა არაფერია, თუ არა... იპოთეკა სტალინურად:

„მუშებისათვის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის საცხოვრებელი სახლის შეძენის შესაძლებლობის მინიჭებისათვის დაევალოს ცენტრალურ კომუნალურ ბანკს გამოყოს სესხი 8-10 ათასი მანეთის ოდენობით 10 წლის ვადით იმ პირთათვის, ვინც ყიდულობს ოროთახიან საცხოვრებელ სახლს და 10-12 ათასი მანეთის ოდენობით 12 წლის ვადით იმ პირთათვის, ვინც ყიდულობს სამოთახიან საცხოვრებელ სახლს — წელიწადში სესხის სარგებლობისათვის ერთი პროცენტის გადახდევინებით“.

ერთი პროცენტი წელიწადში. ისინი, ვინც ამ ცოტა ხნის წინათ აიღეს ბინა ან სახლი იპოთეკით — როგორც ამბობენ, სხვაობას დაინახავენ. რატომაა ეს სხვაობა ასე დიდი? იმიტომ, რომ სტალინისთვის მთავარია — არა მოგება ან „ეფექტურობა“, არამედ ქვეყნისა და ხალხის განვითარება. ფული — ეს დასახული მიზნების მიღწევის მხოლოდ საშუალებაა. დღევანდელ ფინანსურად ორიენტირებულ სამყაროში კი ჩვენ თავს გვახვევენ აზრს, რომ ფული — ესაა მთავარი და ერთადერთი ღირებულება. რომ თავად ფული არის მთავარი მიზანი. ესაა გზა არსად. დღევანდელი მსოფლიო საფინანსო-ორიენტირებული ეკონომიკის მანკიერება სწორედ მის არსშია...

სანამ სსრ კავშირს არ ჰქონდა თავისი ბირთვული იარაღი, ჩვენ არ შეგვეძლო გვეგრძნო თავი უსაფრთხოებაში. ესაა გადარჩენისა და შემდგომი განვითარების საკითხი. ბომბი — ეს მთავარი იყო იმ პერიოდში. ვის დაავალა სტალინმა ეს უმნიშვნელოვანესი საქმე? ლავრენტი ბერიას — სწორედ ის კურირებდა ატომურ პროექტს. და ბომბი მიღებული იქნა. 1949 წლის 29 აგვისტოს გამოსცადეს ჩვენი ატომური იარაღი. საუბარი ანგლოსაქსებთან მსოფლიო არენაზე თანაბარი ხდებოდა. სხვათა შორის, იმიტომ ხომ არა, რომ ბერიამ თავიდან აგვაცილა ჩვენს ქვეყანაზე ბირთვული დარტყმა და გადაარჩინა ათობით მილიონი სიცოცხლე, ასე ეჯავრებათ ის ლიბერალურ ღირებულებათა მომხრეებს?

თარგმნა

**ზურაბ ლომიძემ**

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-106, 108, 112, 114-115, 117, 121-125, 131, 133, 135-139, 140-150, 154, 156, 157-160, 164, 166**

**საშვილიშვილო პროექტი**

# დანიელ პასარელა მოწვევას ელოდება!

**1978 წლის მსოფლიო ჩემპიონი, არგენტინელთა ლეგენდარული კაპიტანი დანიელ პასარელა მზადყოფნას გამოთქვამს, ჩამოვიდეს საქართველოში და მხარი დაუჭიროს „არგენტინის სახლი საქართველოში“ თავმჯდომარის ნიკოლოზ პატარქალიშვილის გლობალურ პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოსა და სამხრეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის მერკოსურის კავშირის (არგენტინის, ბრაზილიის, პარაგვაისა და ურუგვაის) ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული, სპორტული და ტურისტული თანამშრომლობის განვითარებას, რომელშიც უმთავრესი ადგილი უკავია მიხეილ მესხისა და სლავა მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირის ჩატარებას ფეხბურთში „პელეს თასზე“ ფეხბურთის მეფის თანდასწრებით, აგრეთვე, ტურნირის დღეებში ბრინჯაოში ჩამოსხმული ხუთფიგურიანი სკულპტურული კომპოზიციის პრეზენტაციას, 1965 წელს მოსკოვში ბრაზილიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის ამხანაგური თამაშის შემდეგ გადაღებული — გიორგი სიჭინავას, სლავა მეტრეველის, პელეს, ანზორ კავაზაშვილისა და მიხეილ მესხის — ისტორიული ფოტოს მიხედვით.**

საქართველოში ფეხბურთის განვითარების მიზნით „არგენტინის სახლი საქართველოში“ პროექტით გათვალისწინებულია არგენტინული საფეხბურთო სკოლების დაფუძნება და მაღალი დონის საერთაშორისო საფეხბურთო გუნდის შექმნა, რომლის ხელმძღვანელობაზეც **დანიელ პასარელამ თანხმობა განაცხადა**.




**დანიელ პასარელას ვიზიტი თბილისში ა.წ. სექტემბერში იგეგმება!** იგი მზად არის ჩვენთან ერთად შეხვედრები გამართოს საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის წევრთან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან, ბ-ნ ლევან კობიაშვილთან; საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრთან, ბ-ნ ტარიელ ხეჩიკაშვილთან; საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „ქართუ“ დამფუძნებელთან, ბ-ნ ბიძინა ივანიშვილთან და ამავე ფონდის ხელმძღვანელთან, ბ-ნ ნიკოლოზ ჩხეტიანთან.

აღსანიშნავია, რომ საფეხბურთო ტურნირამდე ერთი კვირით ადრე სოფლის მეურნეობის დარგებისა და ტურიზმის განვითარების მიზნით გათვალისწინებულია არგენტინის ეკონომიკური ფორუმის მოწყობა თბილისში, სიღნაღის მუნიციპალიტეტსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. მისი ორგანიზებისთვის „არგენტინის სახლმა საქართველოში“ თხოვნით მიმართა არგენტინის პრეზიდენტს, ბატონ მაურისიო მაკრის, ქვეყნის სამთავრობო და კერძო სტრუქტურების წარმომადგენელთა ჩართვის მიზნით და, ასევე, თვითონაც ესტუმროს საქართველოს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ა.წ. 26 მაისს თბილისში, „სასტუმრო რედისონ ბლუ ივერიაში“ შედგა ჩვენი შეხვედრა არგენტინის რესპუბლიკის ელჩთან თურქეთში, ბატონ ხულიან ლუის ტეტამანტთან!

**ვაცხადებთ, რომ პროექტის განხორციელება იგეგმება მიმდინარე წლის ნოემბერში.**

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ფეხბურთის ფედერაციასა და ფონდ „ქართუს“ ხელმძღვანელობას ვთხოვთ, უპირველესად, მხარი დაუჭირონ ა.წ. სექტემბერში დანიელ პასარელას მოწვევასა და მის მიღებას საქართველოში.

რაც შეეხება ქვეყნისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებათა მაღალ დონეზე მასპინძლობას, „არგენტინის სახლი საქართველოში“ თხოვნით მიმართავს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი კვირიკაშვილს პატრონაჟი გაუწიოს მის განხორციელებას.

**გიორგი შოთაძე**

**თაობა**



# ესეც — ფინალი!

**საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა წარმატებით დაიწყო უკრაინის საერთაშორისო ტურნირი. კიევში, ვიქტორ ბანნიკოვის სახელობის თასის XIV გათამაშებაში გიორგი ნემსაძის გუნდმა ზედიზედ დაამარცხა ბელარუსი — 4:0 და უკრაინელი — 3:2 თანატოლები და ფინალში ასპარეზობა გაინაღდა.**

დღეს ქართველი ჭაბუკები ჯგუფის მესამე შეხვედრას გამართავენ ესტონელებთან და შედეგის მიუხედავად პირველ ადგილს ოფიციალურად დაიკავებენ. თასისთვის ჯგუფების გამარჯვებულები ითამაშებენ.

**ბადრი იაშვილი**

**კალათბურთი**

# ელიტის ზღურბლთან



**საქართველოს 16-წლამდელ კალათბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის ნახევარფინალშია! ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილ გუნდს ერთი ნაბიჯიღა აკლია ელიტურ A დივიზიონში გადასვლამდე.**

საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც ჩეხეთის ნაკრები დაამარცხა და ნახევარფინალის საგზური მოიპოვა. სლავთა ნაკრები, რომელმაც C ჯგუფში წაუგებლად დაიკავა პირველი ადგილი, ჯვარედინი სისტემის თანახმად საქართველოს შეხვდა, თუმცა, გამართულად მოთამაშე ჩვენი გუნდის წინააღმდეგ ვერაფერს გახდა.

ქართველებმა ჩეხებს ყველა სათამაშო კომპონენტში აჯობეს და საბოლოოდ ისე გაიმარჯვეს, მეტოქისთვის მცირედი შანსიც არ მიუციათ. ჩვენმა გუნდმა პირველი პერიოდი 16:7 მოიგო, ხოლო მეორეში 19:18 იმარჯვა და დიდ შესვენებაზე 10-ქულიანი უპირატესობით გავიდა. ყველაფერი მესამე პერიოდის ბოლოს გადაწყდა, რომელიც საქართველომ 17:9 მოიგო და გადამწყვეტი მეოთხედის წინ 18 ქულით დაწინაურდა.

საბოლოოდ ქართველებმა 65:51 მოიგეს და ნახევარფინალის საგზური მოიპოვეს, სადაც ბელგიის ანალოგიური ანგარიშით — 65:51 მძლეველ ჰოლანდიის ნაკრებს შეხვდებიან.

ჩეხეთთან მატჩში საქართველოს 16 ქულით რატი ანდრონიკაშვილმა ულიდერა, 14-14 ქულით ირაკლი სულხანიშვილი და გიორგი ჭეიშვილი გამოირჩნენ, 10 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა ლაშა მიქელაძემ, ვოვა თავაქარაშვილის ანგარიშზე კი 7 ქულა და 16 მოხსნა დაგროვდა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**ჩოგბურთი**

# ქულებიც, ფულიც

**საქართველოს ნომერ პირველი ჩოგანი ნიკოლოზ ბასილაშვილი ამერიკული ცინცინატის მასტერსის 1/8-ფინალში კორტის მასპინძელ ჯარედ დონალდსონთან 4:6, 6:7 დამარცხდა. მატჩი საათსა და 37 წუთს გაგრძელდა.**

პირველ სეტში 4:4-ზე დონალდსონმა ბრეიკი შეასრულა. მეორე პარტიაში ნიკა 2:0 დაწინაურდა, თუმცა, გადამწყვეტი უპირატესობა ვერ შეინარჩუნა.საბოლოოდ საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა და ჯარედმა 7:4 იმარჯვა.

ნიკამ 5-დან ერთი ბრეიკი შეასრულა, ხოლო დონალდსონმა 12-დან — 2. შეგახსენებთ, რომ ბასილაშვილმა ცინცინატის ტურნირზე ორი ეტაპი დაძლია: ჯერ ბორნა ჩორიჩს 6:3, 7:6 აჯობა, ხოლო შემდეგ კრისტიან ჰარისონს 6:3, 6:3 მოუგო. ნიკამ 90 სარეიტინგო ქულა და 62 180 ამერიკული დოლარი გამოიმუშავა.



**კობა კობახიძე**

**ხელბურთი**

# ქართველებმა ერთი მოგებით დაასრულეს

**თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ხვალ დამთავრდება 19-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა მე-7 მსოფლიოს ჩემპიონატი. შეჯიბრებაში მონაწილე საქართველოს ნაკრებმა ასპარეზობა ერთი მოგებით დაასრულა. ჩვენებმა XIX-XX ადგილებისთვის გამართული ბოლო მატჩიც დათმეს ბრაზილიასთან — 23:32 (14:16).**



პაექრობის მეორე წუთზე გიორგი ლაპიაშვილმა (მან ამ მატჩში 7 გოლი გაიტანა) მასპინძლები დააწინაურა. მერე კარგა ხანს თითო ბურთით ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხან — მეორე. ტაიმის მიწურულს ოკეანისგაღმელებმა იყოჩაღეს და ჩვენებს 2 ბურთით გაუსწრეს — 16:14. შესვენების შემდეგ მათი უპირატესობა თვალნათელი გახდა. საბოლოოდ ბრაზილიელებმა 32:23 გაიმარჯვეს და XIX ადგილი დაიკავეს.

ჩემპიონატის ჯგუფებში მეხუთე ადგილებზე გასული გუნდებისთვის დაწესებული პრეზიდენტის თასი ნორვეგიელებმა დაისაკუთრეს, რომლებმაც გადამწყვეტ პაექრობაში სერბებს აჯობეს — 30:25.

ჯგუფური ეტაპის (იქ კუნძულელებმა ალემანებს 28:27 მოუგეს) შემდეგ 2015 წლის მსოფლიოს პირველობის ბრინჯაოს პრიზიორ ისლანდიისა და ევროპის შარშანდელი პირველობის მესამეადგილოსან გერმანიის გზები პლეი-ოფშიც გადაიკვეთა: IX-X ადგილებისთვის პაექრობაში გერმანელებმა დამაჯერებელი რევანში აიღეს — 37:26 და 2015 წლის ჩემპიონატთან შედარებით რვა საფეხურით წაიწიეს წინ. ისლანდიელთაგან 6 ბურთით გუნდის ლიდერი ტეიტურ ორნ ეინარსონი გამოირჩა. იგი ამ ჩემპიონატში გატანილი 66 გოლით (!) ბომბარდირთა დავაში ლიდერობს.

პირველი-მერვე ადგილებისთვის მებრძოლმა გუნდებმა (დანარჩენებისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა) გუშინ დაისვენეს.

**19 აგვისტო**

**V-VIII ადგილებისთვის**

**შვედეთი — პორტუგალია,**
**იაპონია — რუსეთი.**

**ნახევარფინალები**

**ხორვატეთი — საფრანგეთი,**
**ესპანეთი — დანია.**

მედალოსანთა ვინაობა ხვალ გაირკვევა.

**ლექსო ცინცაძე**

# ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| | **ობიექტი № 1** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის ჭალა-კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს პოტენციურ ინვესტორს „ტეხურა 1-6“ ჰესის არეალში, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა და მშენებლობის პერიოდში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძიგიდერის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ტეხურას ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 66 900 $მ^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძიგიდერის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 8 970 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 897 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) | 4 685 ლარი |
| | თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 2** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ბიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ექსპლუატაციის შემდგომ ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მეტრს.<br>დ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს შპს „ვარციხე 2005“-თან წინასწარ შეთანხმებული პროექტისა და მოთხოვნების შესაბამისად. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლო ნებისმიერ ზიანზე პასუხისმგებლობა დაეკისრება ლიცენზიანტს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვახჭირის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 303 600 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. კვახჭირის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 40 709 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 4 070,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 20 555 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი № 3** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| | ლიცენზიის სახე | |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად, მაღალი ნიშნულიდან დაბლისაკენ, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით.<br>გ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ფუჭი ქანი არ უნდა ჩაიყაროს მიმდებარე ტერიტორიაზე გამავალი მდინარის კალაპოტში და უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>ვ) სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე წიაღის მოპოვების სამუშაოების დაწყებამდე, სპეციალური დანიშნულებით ტყითსარგებლობის უფლების მოპოვების მიზნით, ლიცენზიის მფლობელმა უნდა მიმართოს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წყალსადენი და შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.<br>ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.<br>კ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.<br>ლ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.<br>მ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.<br>ნ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ” და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით |

| | | |
|---|---|---|
| | | სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ო) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>პ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, „საქართველოს ტყის კოდექსით", „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლესას მიმდებარე ტერიტორია, „ლესას" ტუფობრექჩიის (ღორღი) გამოვლინება (კატეგორია - P მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (სამივე უბანზე ერთად) - 741 000 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლესას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 37 105 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3710,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 18 753 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 4** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზები.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონზე, ,,ჭყვიშის" ქვიშა-ხრეშის საბადო, (კატეგორია P+C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 1 071 900 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 143 727 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 14 372,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 72 064 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 5** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია მოპოვება განახორციელოს მდინარის ჭალა-კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პერიოდში არ დააზიანოს მოსახლეობის კუთვნილი სახნავ-სათესი მიწები და პირუტყვთა საძოვრები.<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. დიდი ჯიხაიშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. გუბისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 443 700 მ$^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. დიდი ჯიხაიშის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 59 494 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 5949,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 29 947 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 6** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ნაპირდაცვითი და წყლის მილის კვეთის ადგილზე გადასასვლელის გამაგრების სამუშაოების ჩატარება, რათა თავიდან იქნას აცილებული წყალსადენის მაგისტრალური მილის დაზიანება. („საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" 2017 წლის 30 ივნისის N7066/1 წერილი).<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით |

| | | |
|---|---|---|
| | | გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. სართიჭალის მიმდებარე ტერიტორია, მდ. იორზე „სართიჭალის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P , მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 90 000 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. სართიჭალის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 12 068 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1206,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 6 234 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 7** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის ჭალა-კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ველისციხის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ალაზნის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია -P , მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 45 900 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ველისციხის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 6 155 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 615,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 3 278 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |

| | | |
|---|---|---|
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 8** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 2 43 95 57<br>ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ინერტული მასალის მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი თბილისი, ფონიჭალის დასახლების მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვრის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 11 400 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი თბილისი, ფონიჭალის დასახლების მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 983 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 198,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 192 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 9** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ)სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება მთელ ფართობზე ყოველწლიურად არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მეტრს (სიმძლავრე).<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეული გაიტანოს არა ქალაქთან დამაკავშირებელი ცენტრალური ასფალტო-ბეტონიანი გზით, არამედ ალტერნატიული გზით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების |

| | | |
|---|---|---|
| | | ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩხენიშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყალზე „ჩხენიშის“ ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - $B+C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 156 000 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩხენიშის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 20 917 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 091,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 16 934 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 10** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით.<br>ბ)სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება მთელ ფართობზე ყოველწლიურად არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მეტრს (სიმძლავრე).<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეული გაიტანოს არა ქალაქთან დამაკავშირებელი ცენტრალური ასფალტო-ბეტონიანი გზით, არამედ ალტერნატიული გზით.<br>დ)ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩხენიშის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 141 300 $მ^3$ ). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩხენიშის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 18 946 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 894,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 15 357 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 11** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გასცეს თანხმობა, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს მიერ სალიცენზიო მიწის ნაკვეთის განკარგვის შემთხვევაში.<br>გ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში;<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია.<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს სალიცენზიო მიწის ნაკვეთზე დაზიანებული ნიადაგის რეკულტივაციის ღონისძიებების ჩატარება.<br>ზ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება.<br>თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით.<br>ი) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის.<br>კ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა.<br>ლ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.<br>მ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ნ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, „საქართველოს ტყის კოდექსით", „ტყითსარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაჯიხევის მიმდებარე ტერიტორია, „ბაჯიხევის" თაბაშირის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 46 000 ტონა). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ონის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაჯიხევის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 6 464 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 646,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (80%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 371 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №12** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |

| | | |
|---|---|---|
| | ლიცენზიის სახე | |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი ზუგდიდი, გამსახურდიას გამზირი, N 45, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 5 000 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი ზუგდიდი, გამსახურდიას გამზირი, N 45 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 162 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 16,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 281 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 13** | | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. N36-ის ტერიტორიაზე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 1000 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. N36-ის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 32 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 216 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 14** | | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57 |
| | | ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილების თავმორთულობის მოწყობა, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი გორი, სოფ. კარალეთის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა (ორივე ჭაბურღილზე ერთად) - 18 250 მ$^3$/წელიწადში). |

| | | |
|---|---|---|
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი გორი, სოფ. კარალეთის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 590 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 59 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 495 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი № 15** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება.<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი ზუგდიდი, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. N59, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1000 $მ^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი ზუგდიდი, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. N59 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 32 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 216 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 21 აგვისტოს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**1. თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს უპირობო საჯარო აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:**

| ლოტის № | ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა | ფართობი (კვ.მ.) | საკადასტრო კოდი | საწყისი ფასი წლიური (ლარი) | „ბე" (ლარი) | ბიჯი (ლარი) | მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ლოტი №1** | თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი | 101 104 | 53.09.34.110 | 3033 | 910 | 305 | 30 |

2. დაუშვებელია იჯარით აღებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა თელავის მუნიციპალიტეტის თანხმობის გარეშე.

3. იჯარის ვადა განისაზღვროს 15 წლით.

4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე სარგებლობის უფლებით აღებული ქონების წლიური საიჯარო ქირა გადაიხადოს ყოველი კალენდარული წლის 31 დეკემბრამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, გამარჯვებულს არ მიეცემა სარგებლობის უფლება, „ბე"-ს თანხა არ დაუბრუნდება და სხვა ხარჯები არ აუნაზღაურდება.

5. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე"–ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე"–ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

6. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

7. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების სარგებლობის უფლებით ასაღებად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

8. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2017 წლის 21 აგვისტოდან 2017 წლის 19 სექტემბრამდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2017 წლის 19 სექტემბერს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქალაქი თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

9. დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე, ტელ: 0350 – 23 – 21- 90.

**გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი**

# ბოლო წლებში ტყემ აღდგენის უნარი დაკარგა

**საქართველოს ქონების 35% ხე-ტყეზე მოდის. მიუხედავად ამისა, ამ დრომდე არ არის შესწავლილი ტყის როლი ქვეყნის ეკონომიკასა და ენერგეტიკაში. მოჭრილი ხეების სანაცვლოდ არ ხდება ტყის მასივების აღდგენა. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის წარმომადგენლების კვლევის მიხედვით, საქართველოში მოჭრილი ხუთი ხიდან ოთხი უკანონოა.**



სპეციალისტები საგანგაშოდ მიიჩნევენ იმ მონაცემებს, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოსახლეობა გასათბობად ყოველ წელს 2 მლნ 500 ათას კბ/მ საშეშე მერქანს იყენებს, რაც კანონით დადგენილ რაოდენობაზე 1 მლნ 800 ათასით მეტია. ეს იმის ბრალია, რომ მიუხედავად გაცხადებული პოლიტიკისა, ქვეყნის რეგიონების გაზიფიცირება დაბალი ტემპით მიმდინარეობს.

სამცხე-ჯავახეთის ძირითადი მოსახლეობისთვის ზამთრის ცივი პერიოდი თითქმის რვა თვის განმავლობაში გრძელდება. ადგილობრივები ამბობენ, რომ პრობლემას საშეშე მერქნის რესურსის არასაკმარისი რაოდენობა და ტყე-კაფების მიუდგომელ ადგილებში გამოყოფა წარმოადგენს. ზამთარი სექტემბრიდან მაისამდე გრძელდება და, მაგალითად, აბასთუმანში გათბობის ერთადერთი და ისიც არასაკმარისი საშუალება ძირითადად შეშაა.

კურორტის საერთაშორისო მნიშვნელობის მიუხედავად, აბასთუმანში ამ დრომდე არ დაწყებულა გაზიფიცირების პროცესი. შესაბამისად, დაბაში არსებული ტყის რესურსით არა მხოლოდ აბასთუმნის, არამედ მიმდებარე სოფლების მცხოვრებლებიც სარგებლობენ.

**25 წელიწადში საქართველოს ტყის საფარი დაახლოებით 25-30%-ით შემცირდა. როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევებით დასტურდება, რომ ტყეები მასობრივად ნადგურდება. არსებული მონაცემით, ჩვენი ქვეყნის ტყეებიდან პირწმინდად გაქრა 9500 ჰა, რაც რამდენიმე მილიონი ძირი ხეა.**

„გლობალ ფორესტ ვოჩი" საქართველოში არსებულ მდგომარეობას 2001 წლიდან იკვლევს. ორგანიზაციის მონაცემებით, ამ პერიოდიდან მოყოლებული, **ქვეყნის მასშტაბით 8 917 ჰექტარი ტყეა გაჩეხილი.**

აღნიშნული მაჩვენებლით, **საქართველო მეზობელ ქვეყნებს შორის მესამე ადგილს იკავებს. რუსეთისა და თურქეთის შემდეგ ტყის ყველაზე დიდი რაოდენობა საქართველოში განადგურდა. სომხეთში ამ მონაცემმა – 2 000 ჰექტარი, აზერბაიჯანში კი 7 223 ჰექტარი შეადგინა.**

**საქართველოს ტყის ფონდი სულ 2 629.6 ათასი ჰექტარია. საქსტატის მონაცემებით, აქედან ტყით დაფარული მიწის ნაკვეთი 2 015,4 ათას ჰექტარს შეადგენს.**

საქართველოს ტყეებში არსებული მდგომარეობა არის მძიმე და დანაკარგის აღდგენა თითქმის შეუძლებელია.

**ბექა დანელია**

# ფერისცვალება ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

**19 აგვისტოს საქართველოს მართლმადიდებელი წმინდა სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს იესო ქრისტეს ფერისცვალებას.**

იესო ქრისტეს ფერისცვალება ამქვეყნიური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, ამიტომაც მართლმადიდებელმა ეკლესიამ ერთ-ერთ უდიდეს საუფლო დღესასწაულად შერაცხა.




ცნობილია, როცა იესო ქრისტეს ჯვარცმის დღე ახლოვდებოდა, იგი უნდა ვნებულიყო ადამიანთა ცოდვებისთვის, მან იცოდა, რომ ბევრი ვერ გაუძლებდა, ბევრი დაჰკარგავდა სასოებას და რწმენას, და იმედს საუკუნო ცხოვრებისას, ამიტომაც გადაწყვიტა, ყველაფერი გაეკეთებინა იმისათვის, რომ ისინი რწმენით განემტკიცებინა, გაეძლიერებინა...

აღსანიშნავია ისიც, რომ თაბორის მთაზე ასაყვანად უფალმა თავის მოწაფეთაგან გამოარჩია პეტრე, იაკობი და იოანე.

კითხვაზე — თუ რატომ წაიყვანა იესო ქრისტემ თაბორზე მხოლოდ სამი მოწაფე?! პასუხი ასეთია — სამი მოწაფის არჩევით უფალს იმის ჩვენება უნდოდა, რომ ფერისცვალება სამების ნებით მოხდა!

ხოლო, რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოხდა ყოველივე ეს, შესანიშნავადაა აღწერილი ფერისცვალების ეპიზოდში (სახარებიდან), ლოცვის დროს.

თაბორზე ლოცვისას მაცხოვრის სახე განათდა, გაბრწყინდა როგორც მზე, ხოლო ტანსაცმელი თეთრი გახდა, როგორც სპეტაკი თოვლი... და მას გამოეცხადნენ მოსე და ელია და აუწყეს მისი აღსასრულის შესახებ იერუსალიმში. ...მოწაფეები თავიდან რულმა მოიცვა და როდესაც გამოფხიზლდნენ, დაინახეს უფლის დიდება და ზეციდან მოესმათ მამა ღმერთის ხმა: „ესე არის ძე ჩემი საყვარელი, მაგისი ისმინეთ“. საგულისხმოა ისიც, რომ ფერისცვალების დღესასწაული მთელი 7 დღის განმავლობაში გრძელდება.

**გიული ლიპარტია**



# საქართველოს ეროვნული გმირი გიორგი ანწუხელიძე 33 წლის გახდებოდა

**18 აგვისტო საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის დაბადების დღეა. ქართველი მებრძოლი 33 წლის გახდებოდა.**

**ტყვედ ჩავარდნილი, ვაზიანის 41-ე ბატალიონის კაპრალი გიორგი ანწუხელიძე ცხინვალში უსასტიკესი წამების შემდეგ მოკლეს. ქართველი სამხედროს ჯგუფური წამება მკვლელებმა მობილური ტელეფონით გადაიღეს და ეს შემზარავი კადრები მოგვიანებით ინტერნეტში გაავრცელეს. მას გარდაცვალების შემდეგ მიენიჭა საქართველოს ეროვნული გმირის წოდება.**

**გიორგი ანწუხელიძე 1984 წლის 18 აგვისტოს ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ალვანში დაიბადა. 1999 წელს დაამთავრა სოფ. ქვემო ალვანის საშუალო სკოლა. 2003-2004 წლებში გაიარა სამხედრო სავალდებულო სამსახური შინაგანი ჯარების პირველ ოპერატიულ ბრიგადაში. 2004 წელს მონაწილეობდა ცხინვალის რეგიონში მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტში. 2005 წლის 23 აპრილიდან 2006 წლის პირველ აგვისტომდე მსახურობდა II ქვეითი ბრიგადის 21-ე ბატალიონში. 2005 წლის 10 სექტემბრიდან 2006 წლის 26 აპრილამდე იმყოფებოდა სამშვიდობო მისიის შესასრულებლად ერაყის რესპუბლიკაში. ერაყიდან დაბრუნებულს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, სამხედრო სამსახურისთვის თავის დანებება მოუხდა. 2008 წლის 17 აპრილიდან შეიარაღებულ ძალებს დაუბრუნდა და IV ქვეითი ბრიგადის 41-ე ბატალიონის შემადგენლობაში ჩაირიცხა.**

**გიორგი ანწუხელიძე 2008 წლის 9 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ერთ-ერთი შეტაკების შემდეგ, ტყვედ ჩაუვარდა მოწინააღმდეგეს, წამებისა და დაკითხვის შემდეგ კი, ცხინვალის მე-5 სკოლასთან, ძმათა სასაფლაოზე ცემით მოკლეს. 2008 წლის ნოემბრამდე უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ცხინვალიდან ათი ქართველის ცხედარი გადმოასვენეს, გენეტიკური ექსპერტიზით დადგინდა, რომ ერთ-ერთი მათგანი გიორგი ანწუხელიძე იყო. დაკრძალულია თბილისში, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე.**

**2009 წელს დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით. 2011 წელს — საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“. 2013 წლის 15 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით მიენიჭა ეროვნული გმირის წოდება. 2013 წლის 2 ნოემბერს „თუშების სადროშომ“ გიორგი ანწუხელიძეს თუში სახალხო გმირის წოდება მიანიჭა.**

# ტექნოპარკში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა“ და იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს ხელი მოაწერეს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი ზვიადაძემ და დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორმა თათია ხოჭოლავამ.**

მემორანდუმში აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავრობის რეფორმის 4-პუნქტიანი გეგმის მიხედვით, ინოვაციების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს.

თანამშრომლობის მიზანია ერთობლივი ღონისძიებების/პროგრამების განხორციელების გზით, დანაშაულის პრევენციის ცენტრის პროგრამების ბენეფიციარებისთვის საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით პრაქტიკული ცოდნის გაღრმავება და გამოცდილების გაზიარება. ერთობლივ პროექტებში ჩაერთვებიან სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ 29 წლამდე ასაკის ბენეფიციარები, რომლებიც ტექნოლოგიურ ინოვაციებზე ორიენტირებულ უნარ-ჩვევებს დაეუფლებიან. უფრო მეტიც, აღნიშნული თანამშრომლობის თანახმად, ისინი შეძლებენ საკუთარი ინიციატივების (იდეების) განხორციელებასა და განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრსა“ და სსიპ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს“ ურთიერთთანამშრომლობის გამოცდილება აქვთ — ახალგაზრდული პროგრამების მონაწილეებისთვის რამდენიმე ერთობლივი ღონისძიება უკვე გაიმართა.

# თავისუფლების მოედანზე 8 ადამიანი დააკავეს

**თბილისში, თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, პუშკინის ქუჩაზე კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა სპეცოპერაცია ჩაატარა, რომელიც რვა ადამიანის დაკავებით დასრულდა.**

**პუშკინის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ მასაჟის სალონთან სამართალდამცველები 2 საათის განმავლობაში იყვნენ მობილიზებული.**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულ პირებს ბრალად პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემა ედებათ. პოლიციის ეკიპაჟებმა სამმართველოში სულ რვა ადამიანი გადაიყვანეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლით არის დაწყებული, რაც პროსტიტუციისთვის ადგილის გადაცემას გულისხმობს.**



# ბათუმში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს

**ბათუმში, მემედ აბაშიძის ქუჩაზე ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს. არსებული ინფორმაციით, ნიღბიანი პირი მარკეტთან მყოფ ოთხ ახალგაზრდას თავს დაესხა და ერთ-ერთ მათგანს ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა. როგორც თვითმხილველები ყვებიან, დაჭრას წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა. მათი ვარაუდით, თავდამსხმელი და ახალგაზრდები ერთმანეთს იცნობდნენ. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანა. საქმეზე ჯერჯერობით დაკავებული არავინ არის.**

# ამოღებულია დიდი ოდენობით „სუბოქსინი“

**შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1994 წელს დაბადებული ვ.მ., განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, ბათუმში დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 769 აბი ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინი“ ამოიღეს. ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.**

# ველისციხეში მამაკაცი წყლით სავსე ავზში დაიხრჩო

**ველისციხეში 75 წლამდე მამაკაცი წყლით სავსე ავზში დაიხრჩო. არსებული ინფორმაციით, შემთხვევის დროს, სახლში მხოლოდ მისი შეუძლოდ მყოფი მეუღლე იმყოფებოდა, უბედური შემთხვევის შესახებ კი მეზობლებმა მეორე დღეს გაიგეს.**

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით არის დაწყებული, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.**

## გამოსათხოვარი

**ალექსანდრე, პეტრე, რუსუდან ჩხეიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი და უსაყვარლესი ადამიანის**

### ვალერი ჩხეიძის

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**ჩხეიძეების საგვარეულო სახლი ღრმა მწუხარებით იუწყება გამგეობის წევრის, საამაყო მამულიშვილის, საქართველოს სასაზღვრო ჯარების ყოფილი სარდლის, გენერალ-ლეიტენანტ**

### ვალერი ჩხეიძის

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

# თბილისის ბაღებში სააღმზრდელო წელი 18 სექტემბერს დაიწყება

**თბილისის საჯარო ბაგა-ბაღებში ახალი 2017-2018 სააღმზრდელო წელი 18 სექტემბერს დაიწყება.**

თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელის თემურ თორდინავას ბრძანებით, სააღმზრდელო წლის დაწყებამდე, საბავშვო ბაღების ადმინისტრაციებს დაევალათ შენობების სანიტარიული დამუშავება, სამშენებლო ნარჩენების გატანა იმ ბაღებიდან, სადაც მიმდინარე არდადეგების პერიოდში სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა, ასევე, ბაგა-ბაღების ეზოების და შენობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სასმელი წყლის ლაბორატორიული ანალიზი, ცენტრალური გათბობის სისტემების შემოწმება და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა და სხვა ტექნიკური სამუშაოების ჩატარება სააღმზრდელო პროცესის სათანადო პირობებში დაწყების უზრუნველყოფისათვის.

## რას არ გაიგებ!..

### ლტოლვილთა ბანაკი აიღეს



პარიზის პოლიციამ გამთენიისას მიგრანტთა ბანაკის დემონტაჟი განახორციელა. ოპერაცია XVIII ოლქში ჩატარდა, რომელშიც 2 ათასამდე ლტოლვილი ცხოვრობდა. ისინი 18 შენობაში გაანაწილეს. საიმიგრაციო სამსახური მათ საქმეებს ინდივიდუალურად შეისწავლის.

### ტრამპს ჩვენი მოკვლა სურს



ამის შესახებ ცნობილმა ამერიკელმა კინოდოკუმენტალისტმა მაიკლ მურმა განაცხადა. **„ამ ადამიანს ბირთვული კოდები აქვს და მას ყველას დახოცვა სურს. ვიმედოვნებ, პენტაგონიდან ვინმე დაგვიცავს. იმედი მაქვს, ბირთვულ ჩემოდანში არა ნამდვილი კოდები, არამედ ვინმე გოგონას ტელეფონის ნომერია,“** — აღნიშნა მურმა.

### ბრიჯიტ მაკრონს მეუღლის გარეშე ყოფნა არ შეუძლია



საფრანგეთის პირველ ლედის ქმრის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. ამის შესახებ მან გამოცემა Elle-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

**„ღამე მის გარეშე დარჩენა მიჭირს. ძალიან მშვიდად ვარ, როცა ის ჩემს გვერდითაა. მის მაგივრად ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ვფიქრობ, ემანუელიც იმავეს გრძნობს. ასაკის გამო დიდი იყო იმის საფრთხე, რომ ერთმანეთთან შეთავსება გაგვიჭირდებოდა, მაგრამ დღეს ჩვენ ასე ვართ და ასე იყო ყოველთვის,“** — აღნიშნა ბრიჯიტ მაკრონმა.

### ლენინის ძეგლს აიღებენ



**სიეტლის მერი ქალაქში ლენინის ძეგლის აღების ინიციატივით გამოვიდა.** ქალაქის თავის, ედ მიურეის თქმით, ლენინი ისტორიული უსამართლობის, სიძულვილის, რასიზმისა და ძალადობის სიმბოლოა და მისი ადგილი ქალაქში არ არის. ლენინის მონუმენტი სიეტლში 1926 წლიდან დგას.

### ფილიპინებში ბოლო 3 დღეში 80-მდე ნარკომოვაჭრე მოკლეს

**ბოლო 24 საათის განმავლობაში ფილიპინებში 13 ნარკომოვაჭრეა ლიკვიდირებული, ბოლო 3 დღის განმავლობაში კი სპეცოპერაციებს 80-მდე ნარკომოვაჭრე ემსხვერპლა.** პოლიციამ ნარკოკარტელებთან ბრძოლა მას შემდეგ გააქტიურა, რაც პრეზიდენტმა დუტერტემ საგანგებო განკარგულება გასცა. მანილასა და მის შემოგარენში სამართალდამცველებმა 200-მდე ეჭვმიტანილი დააკავეს.

## გარი სპიდს ცოლი მოსწყინდა

**ვეტერანი უელსელი ფეხბურთელი გარი სპიდი, ჩვენი აზრით, თუნდაც მისი ერთობ ორიგინალური გვარის გამო უნდა გახსოვდეთ, რომ აღარაფერი ვთქვათ მის მართლაც შესანიშნავ თამაშზე, რითაც მთელი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში გამოირჩეოდა და პრემიერლიგასაც თავისებურ ხიბლს სძენდა.**

გარი სპიდი ახლა დიდ გაწამაწიაშია, რადგან ცოლს ლუიზა-დანიელა სპიდს შორდება და თან იძახის, ნამდვილ „სპიდს“ უფრო მეტად მოიშორებს კაცი, ვიდრე ამ ქალსო. ბრიტანელი ბულვარული მოკალმეები წერენ, გარის უბრალოდ მოძველებული ავტომობილივით მოსწყინდა ასაკში შესული ლუიზა და „ახალთახალი ავტომობილი“ მას „საჯინიბოში“ უკვე ელოდებაო.




ყოფილი მოდელი ლუიზა ის ქალი არაა, ვინმეს თავი მარტივად რომ დააჩაგვრინოს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მისტერ გარის ისედაც შემცირებული ქონების შუაზე გაყოფა მოუწევს. მით უმეტეს, რომ ბრიტანეთის კანონმდებლობა ცოლ-ქმრის გაყრის შემთხვევაში სწორედ ქონების შუაზე გაყოფას ქადაგებს. როგორც ჩანს, გარი სპიდი ყველაფერზე თანახმაა, რადგან აშკარაა, რომ მუდმივად ახალი „საჯინიბოსკენ“ უჭირავს თვალი...

**როსტომ რაჭველიშვილი**

## ყველაფერი ყველაფერზე

## ის ერთადერთი რამ, რაშიც მამაკაცი ქალს სჯობია...



**სივრცეში მამაკაცები ქალებზე უკეთ ორიენტირებენ, რაც ნორვეგიელ მეცნიერთა გამოკვლევის შედეგებით დადასტურდა.**

მკვლევართა განცხადებით, სივრცეში საკუთარი ადგილსამყოფელის სწრაფად გარკვევისა და მოძრაობის მიმართულების შერჩევის უკეთესი უნარი მამაკაცებში იმასთანაა დაკავშირებული, რომ ევოლუციის მანძილზე მათი ტვინი ქალის ტვინისგან განსხვავებულად ვითარდებოდა.

ამასთან, **ქალები უკეთ აგნებენ საგნებს. მაგალითად, სახლში „დაკარგულ“ ნივთს მამაკაცებზე სწრაფად პოულობენ.** მამაკაცები უფრო მთლიანი ვითარების ანალიზსა და მოძრაობის სწორი მიმართულების არჩევაზე არიან ორიენტირებულნი. ადამიანის სანავიგაციო უნარები სქესობრივი ჰორმონების აქტივობაზეა დამოკიდებული — **რაც უფრო მაღალია სისხლში ტესტესტერონის შემცველობა, მით უფრო ეფექტიანია ორიენტირების უნარი.** ადგილზე ორიენტირებისას მამაკაცებსა და ქალებს თავის ტვინის სხვადასხვა უბნები უაქტიურდებათ. გამოცდების დროს მამაკაცები ქალებზე 50 პროცენტით უფრო სწრაფად არკვევდნენ ობიექტის ადგილმდებარეობას.

## „მამაკაცური“... მწვანილი

**ნიახური აძლიერებს მამაკაცურ მიმზიდველობას, — ირწმუნებიან ამერიკელი მეცნიერები, რომლებმაც დაადგინეს, რომ ეს მწვანილი მამაკაცის ოფლში ფერომონების შემცველობას ზრდის, რომელთა გამო ისინი ქალებისთვის უფრო მომხიბლავნი ხდებიან.**

საქმე ისაა, რომ ნიახური ანდროსტერონს — ბუნებრივი წარმოშობის სტეროიდს შეიცავს, რომლის გაზრდილი შემცველობა ფერომონების სეკრეციას ზრდის. სხვათა შორის, ფერომონების დიდი ოდენობით შემცველობის გარდა, ნიახური სქესობრივ ლტოლვასაც აღვივებს.

## მორფეუსის ფრთებქვეშ



**თანამედროვე წარმოდგენების თანახმად, სიზმრები — ესაა ერთგვარი „მომყოლი პროდუქტი“, რაც იმას ნიშნავს, რომ ევოლუციას ისინი არ შეუქმნია.**

სიზმრები იმის გამო წარმოიშვება, რომ სწრაფი ძილის ფაზაში თავის ტვინი ძალიან აქტიურია, თუმცა კი ამავე დროს გრძნობის ორგანოებიდან შემავალი გარე ნიშნებსაა მოწყვეტილი, შესაბამისად არც კუნთების სისტემას აწვდის მინიშნებებს. ჰოდა, როცა ასეთი ინტენსიურად მომუშავე ტვინი გარე სამყაროსთან არ ურთიერთობს, იგი სიზმრებს ბადებს. თუკი ადამიანს ყოველ საათნახევარში ერთხელ (ანუ ძილის ყოველი ციკლის ბოლოს) გავაღვიძებთ, იგი თავისუფლად გიამბობთ თავისი სიზმრის შინაარსს. ისიც ცნობილი ამბავია, რომ ზოგიერთნი იმასაც ამტკიცებენ, რომ წინასწარმეტყველურ სიზმრებს ხედავენ, თუმცა კი სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ ისინი საკუთარ ცხოვრებას ქვეცნობიერად ცვლიან ისე, რომ სიზმარი „წინასწარმეტყველური“ გახდეს, ამიტომაც, უმჯობესია, სიზმრებს მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ. ისიც უნდა ითქვას, რომ როცა ადამიანს ერთი და იგივე სიზმარი ხშირად ესიზმრება, რომელსაც კარგად იმახსოვრებს, ეს ნევროზის პირველი ნიშანია.

## მარხვა

**ნებისმიერ კონფესიაში მარხვის მიზანია უფლის მორჩილება, მთავარი ამოცანა კი მანკიერებებისა და მავნე ჩვევებისგან გათავისუფლება.** მართლმადიდებლობაში მარხვაზე წელიწადში 200-ზე მეტი დღე მოდის, რომელსაც ჩვენში დაახლოებით ყოველი მე-5 კაცი იცავს; თითქმის ყველა კონფესიაში მარხვებისგან თავისუფლდებიან ბავშვები, მოხუცები და ავადმყოფები, ფეხმძიმე და ძუძუთი მკვებავი ქალები, მგზავრები და მეომრები; მარხვის დაცვას მედიკოსები არ ურჩევენ იმათ, ვინც კუჭის წყლულს, გასტრიტს, ქოლეცისტიტს, პანკრეატიტსა და თირკმლების უკმარისობას უჩივის; დიეტოლოგები ერთიან აზრზე არიან, რომ ცხოველური წარმოშობის საკვებზე (ხორცზე, ფრინველზე, თევზზე, კვერცხზე და რძის პროდუქტებზე) რეგულარულად უარის თქმა და მათ ხარჯზე რაციონში მცენარეული საკვების გაზრდა, ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.3885; ევრო - 2.7936;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0716;
100 რუბლი - 3.9554; თურქული ლირა - 0.6754;
აზერბაიჯანული მანათი - 1.3977;
1000 სომხური დრამი - 4.9982.

**ამინდი 19 აგვისტოსთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +17 | დღე +35 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +11, | დღე +32 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +19, | დღე +37 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +14, | დღე +35 |
| თბილისი: | ღამე +21, | დღე +33 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge